



ახალი ხიზი



უნივერსიტეტი

31
მაისი,
სამშაბათი
2016 წ., №8

ნომერები

■ აკადემიური საბჭოს
მე-14 წევრი არჩეულია
გვ. 2



■ რამ შახარია
„აუდიტორია 115“-სა და
ბანათლების
სამინისტროს შორის
მოლაპარაკებების
პროცესი?
გვ. 5

■ სტუდენტური
თვითმმართველობის
პრაზიდიენტმა და
ვიცე-პრაზიდიენტმა
თანამდებობები
დატოვეს
გვ. 6

■ სტუდენტური
თვითმმართველობის
პრაზიდიენტის
მოვალეობის
შემსრულებლის
ხედვა მიმდინარე
პროცესებზე
გვ. 6

■ თსუ-ის
ლაქსიკოგრაფიული
ცენტრის განცხადება
გვ. 7

■ რაზო გომონია:
მეცნიერისა და
მაგულიშვილის გზა
გვ. 9



დაპირისპირება „აუდიტორია 115“-სა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის დღემდე გრძელდება



25 მაისს „აუდიტორია 115“-მა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სამუშაო ოთახი ძალის გამოყენებით დაიკავა. ამ პროცესს წინ უძღოდა უნივერსიტეტში მომხდარი ძალადობრივი ფაქტი — 24 მაისს საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ 16 საათზე პირველ კორპუსში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა სტუდენტური თვითმმართველობის წევრებსა და მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის წევრს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

IV კურსის სტუდენტ ცოტნე ცხვედიანს შორის. დაპირისპირების მიზეზებზე ორი განსხვავებული მოსაზრება ვრცელდებოდა. „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სასწავლო კორპუსის დერეფანში მიმავალ ცოტნე ცხვედიანს უნივერსიტეტის თვითმმართველობის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ბახტურიძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც მათ შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა, თვითმმართველობის 20-მდე პირმა ცოტნე ცხვედიანი ცემა.

მეორე ვერსიით — თვითმმართველობის წევრებს თავად ცოტნე ცხვედიანმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც თვითმმართველობის წევრების მხრიდან მოჰყვა მოწოდება — პროვოკაციებისგან თავის შეკავებისა, თუმცა ფიზიკური დაპირისპირება მაინც მოხდა (მათი თქმით, არა 20 კაცის მხრიდან), რაც უნივერსიტეტის დაცვის სამსახურმა განმუხტა.

მე-3-4 გვერდებზე

წესდებაში ცვლილება აკადემიური საბჭოს გაზრდას ითვალისწინებს

19 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სხდომა №3), სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ. ძირითადად წესდებაში ცვლილებების შეტანის მიზანი იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სადაც არსებობს სამეცნიერო კვლევითი ერთეულები) სამეცნიერო სექტორის გაძლიერება. აქამდე კვლევითი ერთეულების შესახებ კანონში მხოლოდ ერთი ჩანაწერი არსებობდა. ამჟამად მოხდა აღნიშნული საკითხის უნივერსიტეტის წესდებაში სრულფასოვნად განერა. სენატის სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან წარმომადგენელთა რაოდენობის საკითხმა. მსჯელობის შედეგად საბჭომ დაამტკიცა ცვლილება, რომლის მიხედვითაც აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება სამი აკადემიური პერსონალით. ცვლილებების მიღების შედეგად წესდებაში, ასევე, კონკრეტულად გაიწერა — თუ რას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევითი



ერთეული, მისი მართვის ორგანოები როგორ და რა წესით ფორმირდება, ვინ ითვლება სამეცნიერო პერსონალად, მითითებულია მეცნიერ-თანამშრომელთა უკუადო არჩევის წესი, დანარჩენი სამეცნიერო პერსონალის

არჩევის ვადები, შეიცვალა სადისერტაციო საბჭოების პრინციპები და ა.შ.

მე-2 გვერდზე



ნესდებავი ცვლილება აკადემიური საბჭოს გაზრდას ითვალისწინებს

პირველი გვერდიდან

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიაძემ საბჭოს წევრებს გააცნო საკითხის ძირითადი არსი, რომლის მიხედვითაც, ცვლილებები უნდა შევიდეს ნესდებავი აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

„ცვლილებები ნესდებავში დიდი ხანი მზადდებოდა. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მცირერიცხოვანი, მაგრამ ლეგიტიმური ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც, ბაზა კვირიკაშვილისა და კახაბერ ლორიას მონაწილეობით, რომელთაც დიდი დახმარება გაუწიეს თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ, სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ლევინაძემ და პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ, ჩვენ გავიარეთ არაერთი აქტიური, საქმიანი და დაძაბული კონსულტაცია, მათ შორის, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების წარმომადგენლებთან.“

დღეს გამოგვაქვს ამ კონსულტაციების შედეგად შეჯერებული პროექტი, რომელიც, შესაძლოა, განხილულ იქნას, როგორც ცვლილებების პაკეტი“, — აღნიშნა კახაბერ ლორიაძემ და ხაზი გაუსვა, რომ ამ ცვლილებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური საბჭოში ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის რაოდენობის საკითხი, რაც ღიად არის დატოვებული.

„წინა სხდომაზე საკმაოდ კონსტრუქციული წინადადება შემოვიდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ირაკლი კუპრაძის მხრიდან. ამ წინადადებაში, თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენლობა აკადემიური საბჭოში უნდა განსაზღვრულიყო 3 წევრით. თუმცა, იყო განსხვავებული აზრები 4 წევრის არჩევის თაობაზე. ამჟამად პროექტში მითითებულია 2 წევრი. თუ ჩვენ ცვლილებას არ შევიტანთ, დარჩება ისევე 2. კონსულტაციებზე, რომელიც მიმდინარეობდა, განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ფიგურირებდა რიცხვი — 3“, — განაცხადა კახაბერ ლორიაძემ.

განსახილველ საკითხზე მოსაზრებები გამოთქვას საბჭოს წევრებმა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ, თუ აკადემიური საბჭო გაიზრდება დიდი რიცხოვნობით, მაშინ ვერ იქნება მოქნილი, რადგან ბევრი წევრი საბჭოში ნიშნავს მეტ დებატს. „ასეთ შემთხვევაში დასკვნის გაკეთება ამ ხალხს ძალიან გაუჭირდება. ამიტომ, ვინაიდან გარდაუვალია გაზრდა, თითო ფაკულტეტიდან 3 წევრი არის ოპტიმალური რიცხვი“, — აღნიშნა მან.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, როგორია თსუ-სთან მიერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პოზიცია — რამდენს აქვს სურვილი უნივერსიტეტთან თანაარსებობის და რამდენს სურს დამოუკიდებელ ერთეულად ფუნქციონირება. მისი აზრით, ამ ინსტიტუტების წარმომადგენლობის აკადემიური საბჭოში შესვლა კიდევ უფრო გაზრდის აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობას, რაც სწორედ რომ მისასალმებელია: „ვემზრობი, რომ გაიზარდოს წარმომადგენლობა. ვიცი, თუ როგორი მრავალპროფილიანი ფაკულტეტები არსებობს ჩვენთან — ჰუმანიტარული ფაკულტეტი — მეგა ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი... და იქ ხშირად ბევრი მიმართულება აკადემიური საბჭოში წარმომადგენლობის გარეშე რჩება ნების განმავლობაში. ვფიქრობ, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს. ჩემთვის რეკონკურირება არაა პრობლემა, რადგან ჩვენ ვართ არაფერზე მთავარი“, — აღნიშნა მან.

თსუ-ის სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და აკადემიური საბჭოს წევრმა გიორგი ლევინაძემ თავის გამოხატვაში ხაზი გაუსვა სამეცნიერო კრიტერიუმებს. „ბუნებრივია, რომ არ იყო მარტივი შეხვედრა ინსტიტუტებთან. მოკლედ რომ ვთქვათ, 14 ინსტიტუტი, რომელიც დღეს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სახელს ატარებს, ავტომატურად ინარჩუნებენ ამ სტატუსს. ანუ, ნესდების ძალაში შესვლას მოყვება ამ ინსტიტუტების სტატუსის შენარჩუნება, რადგან მათ აქვთ პროგრამული დაფინანსება. ჩვენ მათთვის კატასტროფული კრიტერიუმები არ მოგვიტოვია, რადგან ვადა მივეცით, რომ იმუ-

შაონ, რათა შეეძლოთ კვლევითი პროდუქციის შექმნა, ოღონდ ეს პროდუქცია არ უნდა იყოს მდარე. იმავდროულად, ჩვენ გვაქვს ორი ძალიან კარგი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტი და ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომლებიც კრიტერიუმებით ძალიან ბევრ ამ შემოერთებულ ინსტიტუტს სჯობნის. ეს ორი ინსტიტუტიც დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სტატუსს მიიღებს იმ მიზეზის გამო, რომ, კვლევების თვალსაზრისით, ძალიან მაღალ დონეზეა, თუმცა დაფინანსება სამინისტროსგან არ აქვს მიღებული და უნივერსიტეტის მიერ ფინანსდება. ამ შემთხვევაში ვართ ნესდებავზე დამოკიდებული, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა შესაძლებლობა მიგვეცა ყველასთვის, შექმნან ღირსეული სამეცნიერო პროდუქცია. რაც შეეხება კვლევებს, კანონში წერია, რომ აკადემიური საბჭოში უნდა შევიდეს ერთი წევრი მაინც ყოველი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან. ბუნებრივია, იყო მოსაზრება, რომ მათგან საბჭოში შესულიყო 2 ან 3 წევრი, მაგრამ საბოლოოდ შევჯერდით, რომ თუ იქნება მათი ერთი წარმომადგენელი, მაშინ ფაკულტეტებიდან იყოს 3 და არა მეტი“, — აღნიშნა მან.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა შალვა საბაურმა მცდარი ნორმა უწოდა სამინისტროს მიერ კანონში ჩადებულ ამ მოთხოვნას და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, უნივერსიტეტს თვითონ გადაეწყვიტა, რომელი ინსტიტუტები ჩაერთონ სხვადასხვა ფორმით უნივერსიტეტების მუშაობაში, ან მათ საერთოდ ცალკე საბჭო ჰქონოდათ: „ახლა ჩვენ ვართ ასეთი სიტუაციის წინაშე — სამინისტრომ ჩადო ეს მცდარი ნორმა სიტუაციის საკონტროლოდ და ჩვენ იძულებული ვართ, რაოდენობა გავზარდოთ. ამის გამო შემდეგ ეტაპზე უკვე სენატის რაოდენობის გაზრდაც მოგვიწევს და მართლა სააქტო დარბაზში ხომ არ უნდა ჩატარდეს სხდომები? სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლობამ რეალურად უკვე გადააჭარბა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობას აკადემიური საბჭოში“, — განაცხადა მან და იკითხა — თუ ამ საკითხის კენჭისყრა გადაიდება, რა შეიძლება მოჰყვეს ამას იურიდიულად?

დასმულ კითხვას უპასუხა თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ: „რეალურად, უნივერსიტეტები, ისევე, როგორც ინსტიტუტები, ჩართული იყო ამ კანონპროექტის მომზადებაში. ჩვენი წინადადება იყო, რომ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლობა აკადემიური საბჭოში განსაზღვრულიყო არაუმეტეს საბჭოს წევრთა რაოდენობის ერთი მესამედისა. გარკვეული დროის განმავლობაში სამინისტრომ ეს აზრი მიიღო. შემდეგ, როცა უნივერსიტეტების ჩართულობა მინიმალური იყო და კონსულტაციები მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან, ეს აზრი ისევ შეიცვალა. დღეს მდგომარეობით ვერაფერს ვცვლით. კანონში მითითებულია, რომ აკადემიური საბჭოში ინსტიტუტები წარმომადგენელი უნდა იყვნენ არანაკლებ ერთი წევრისა. მე არ ვუყურებ ამას ეჭვის თვალთ, რადგან არა მგონია, ამ მეცნიერებში არსებობდნენ უნივერსიტეტის მიმართ რადიკალურად განწყობილი პირები. ის რისკები, რაზედაც თქვენ საუბრობთ, რა თქმა უნდა, არსებობს. ვფიქრობ, 3 წარმომადგენელი ფაკულტეტებიდან და ერთი — სამეცნიერო-კვლევითი დასესრულებებიდან, იძლევა გარანტიას, რომ უნივერსიტეტისთვის საზიანო გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული“, — აღნიშნა არჩილ კუკულავამ.

წარმომადგენლობითი საბჭოზე ხმის მიცემა მოხდა ე.წ. რეიტინგული კენჭისყრით. პირველ პოზიციას — აკადემიური საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლობა განისაზღვროს 4 ადამიანი, ხმა მისცა 10-მა წევრმა. ხოლო მეორეს — აკადემიური საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლობა განისაზღვროს 3-ით, ხმა მისცა 15 წევრმა. საბოლოო კენჭისყრით, 23 ხმით ორის (ლევან ლორთქიფანიძე, ზურაბ გაიპარაშვილი) წინააღმდეგ, ნესდებავში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც აკადემიური საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრა 3 ადამიანით.

P.S. თსუ-ის სენატმა ნესდებავში ცვლილებების პაკეტი განათლების სამინისტროს გაუზიარა დასამტკიცებლად.

მაია ტორაძე,
ნათო მობლაძე


აკადემიური საბჭოს მე-14 ნივრის არჩეულია

18 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს მე-14 ნივრის გამოსავლენად არჩევენების II ტური გაიმართა.

ფარული კენჭისყრის შედეგად, აკადემიური საბჭოს წევრი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი აპოლონ სილაგაძე გახდა. მან 86 ხმა მიიღო, ხოლო მეორე პრეტენდენტმა, პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა — 64.

11 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს პირველი ეტაპის არჩევნებზე 13 წევრი აირჩიეს: ირმა ხარშილაძე, ირინე ქურდაძე (იურიდიული ფაკულტეტი), ნოდარ ბელქანია, ამირან ბერძენიშვილი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი ლევინაძე, ომარ ფურთუხია (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), თამარ აბაშიძე, რუსუდან სანაძე (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ელგუჯა მექვაბიძე, მარინე მინდორაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), პაატა იმნაძე, ნინო ოკრიბელაშვილი (მედიცინის ფაკულტეტი), დავით გოცირიძე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი). მე-14 ვაკანსიაზე პროფესორებმა აპოლონ სილაგაძემ და ქეთევან ხუციშვილმა ხმების ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, რის გამოც II ტურის ჩატარება გახდა საჭირო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი აკადემიური საბჭო მუშაობას 16 მაისიდან შეუდგა.



აპოლონ სილაგაძის
ბიოგრაფიული ცნობები

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

1975 წლიდან არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1976 წლიდან — დოცენტი;

1988 დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნიშნები; 1990 წლიდან პროფესორია.

1981-1985 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

1986-1988 წლებში აპოლონ სილაგაძე დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანად;

1984-2006 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრის გამგე;

2006 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და ხელმძღვანელობდა ამავე ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტს, ხოლო 2009 წლიდან დღემდე იგი არის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

1988-1992 წლებში აპოლონ სილაგაძე იყო გაზეთ „სახალხო განათლების“ (შემდგომში უზენაესი საბჭოს გაზეთი „ერი“) მთავარი რედაქტორი; 1992-1998 წლებში — გაზეთ „სვობოდანია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი;

1998-2004 წლებში იგი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ევროპის არაბთა რესპუბლიკაში, სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ლიბანის რესპუბლიკასა და იორდანის ჰამიშითურ სამეფოში;

1990-1991 წლებში აპოლონ სილაგაძე აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად. მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე;

2009 წლიდან აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2015 წლიდან აკადემიის ნამდვილი წევრია (აკადემიკოსი);

აპოლონ სილაგაძე არის 33 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი.

თსუ-ის კანცლერის არჩევის ვადამ გადაინია

16 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა 28 მარტის №33/2016 დადგენილებაში, რომელიც შეეხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის ვადებს.

დადგენილების ახალი რედაქციით (დადგენილება №53/2016 16 მაისი, 2016), აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების შეფასების ვადამ გადაინია 21 ივნისამდე, ხოლო პრეტენდენტებთან გასაუბრების ვადამ — 2016 წლის 1 ივლისიდან არა უგვიანეს 5 ივლისისა.

შესაბამისად, აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პრეტენდენტების შეფასებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული 1 კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 8 ივლისი.



დაპირისპირება „აუდიტორია 115“-სა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის დღემდე ბრძოლა

პირველი გვერდიდან

სივარტლის ქიზაში — ვერსიები, მოთხოვნები

ფიზიკური დაპირისპირების შესახებ მხარეებმა სხვადასხვა განცხადება გააკეთეს. ორივე მხარე ითხოვდა პირველი კორპუსის დერეფანში განთავსებული კამერის ჩანაწერის ამოღებას, რაც გასაჯაროვდა კიდევ, მაგრამ მხარეები მაინც თავის აზრზე დარჩნენ.

ფიზიკური დაპირისპირების შედეგად დაზარალებული ცოტენ ცხვედიანის თქმით, ლექციის შემდეგ დერეფანში გავლისას მას უცნებურად სიტყვებით მიმართა პაატა ბახტურიძე: „მივბრუნდი, რომ გამერკვია, რა უნდოდა ჩემგან და ამ დროს დამარტყეს. ამას მოჰყვა თვითმმართველობის 20-მდე წევრის ფიზიკური ანგარიშსწორება ჩემთან. მთელი ამ პროცესების მანძილზე ვამბობდი, რომ ჩვენი მონივრულად არ არის თვითმმართველობა. ჩვენ ვითხოვთ განათლების ფუნდამენტურ რეფორმას. თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრის გარდა, არავის ვიცნობდი დღემდე. ყველას გახსოვთ, რომ თვითმმართველობა სტუდენტებს ადრეც უსწორდებოდა ფიზიკურად. მთელი საზოგადოება თანხმდება, რომ ეს არის მახინჯი სისტემა, რომელიც უნდა გაუქმდეს. ჩემს მონივრულად არ მივიჩნევ პარტიის ხელის ბიჭებს და „ვაზულა“ კარიერისტებს. ჩვენ ვებრძვი იმით, ვინც ამ ხელის ბიჭებს დავალებებს აძლევს. ყველა უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ ეს იყო არაადამიანური, სამარცხვინო საქციელი, ხოლო მთავრობამ აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ეს მოძალადე ორგანიზაცია აღარ დარჩეს უნივერსიტეტში! თუ დღეს ჩემ მიმართ გამოიყენეს ძალა, ხვალ — სხვა იქნება“, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

24 მაისს ჩვენი მომხდარი ფაქტის შესახებ მედიასთან განცხადება გაავრცელა „აუდიტორია 115“-მა, რომელშიც ნათქვამია: „როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, „აუდიტორია 115“-სა და სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები თვითმმართველობის რეფორმირებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვწყალობთ ამ თემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს და სახელმწიფოს ვუყურებთ ულტიმატუმად ერთადერთ პირობას — ხვალ 18:00 საათამდე ქვეყნის მმართველმა პირებმა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და საჯაროდ დააფიქსირონ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა უახლოეს მომავალში გაუქმდება და არ იარსებებს უნივერსიტეტში არანაირი ერთიანი და ცენტრალიზებული სტუდენტური ორგანიზაცია! წინააღმდეგ შემთხვევაში, „აუდიტორია 115“ გამოაცხადებს საყოველთაო მობილიზაციას და უნივერსიტეტიდან ჩვენ, სტუდენტები, ჩვენი ხელით გავყრით მოძალადეებს“.

განსხვავებულ ვერსიებს ავრცელებდა თსუ-ის თვითმმართველობა. მათ ფეისბუქ-გვერდზე 24 მაისს, ჯერ კიდევ დილით, დადეს მიმართვა: „დღეს დილიდან „აუდიტორია 115“-ის სრული მობილიზაცია. ზოგი ფეისბუქით, ზოგი პირველ კორპუსში ცდილობს პროვოკაციების მოწყობას. არის ძალიან რთული სიტუაცია. „აუდიტორია 115“ გადავიდა ძალადობის გამოწვევებზე მეთოდებზე. ყველას მოგიწოდებთ ნინდახედელობისა და ამ ბინძური მეთოდების შეჩერებისკენ“.

მოგვიანებით აქვე დაიდო პოსტი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ მათ მიერ დილით გაცხადებული პროვოკაცია შედგა: „შევახსენებთ, დღეს დილიდან იყო „აუდიტორია 115“-ის სრული მობილიზება პროვოკირებისთვის. აქტიურად მიმდინარეობდა თვითმმართველობის წევრების შეურაცხყოფა, როგორც სოციალური ქსელით, ასევე პირველი კორპუსის ტერიტორიაზე. საბოლოოდ, ცოტენ ცხვედიანმა ჯერ შეაგინა, შემდეგ კი ხელი დაარტყა სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს პაატა ბახტურიძეს. ყოველივე ამის ამსახველი მასალა გადაღებულია დერეფანში დამონტაჟებული ვიდეო კამერით, რასაც აუცილებლად გამოვივითხოვთ დაცვის სამსახურიდან და გავხდით საჯარო“. აქვე პაატა ბახტურიძე აღწერდა იმ მიზეზებს, რომლის გამოც, მისი თქმით, ეს ფაქტი მოხდა: „მას შემდეგ, რაც პრემიერის წარმომადგენელთან სტუდენტური თვითმმართველობის შეხვედრის შემდეგ აპკარა გახდა, რომ თვითმმართველობის გაუქმებაზე საერთოდ არ მიდის ლაპარაკი და შეიქმნება პლატფორმა, სადაც ყველა მხარის წარმომადგენლის აზრი თანაბრად იქნება გათვალისწინებული საუნივერსიტეტო საკითხებში, ფარდა აეხადა „აუდიტორია 115“-ის ნამდვილ სახეს.



ისინი, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, შეხვედრების შემდეგ არასწორად აფორმირებდნენ საზოგადოებრივ აზრს. ამ სიცრუის გამოაპყარავებამ „აუდიტორია 115“-ს ყველაწინააღმდეგეები გამოაცხადეს, აღარ ჰქონდათ არანაირი საზოგადოების მხარდაჭერა. გარდა ამისა, მათი ბუნდოვანი და არასამართლიანი, უნივერსიტეტის ავტონომიის შემლახველი მოთხოვნებიც ამცირებდა მხარდაჭერებს, იდეურადაც კი. ყოველივე ამის ფონზე საჭირო გახდა რაიმეს მოფიქრება, რომლითაც ისევ დაიბრუნებდნენ აქტუალობას და სიტუაციას დაძაბვდნენ. ამ ყველაფრისთვის სულ ცოტა ხანში, თვითმმართველობის ოთახის მიმდებარე ტერიტორიაზე, სრულიად შემთხვევით ვითომ მხვდება ერთ-ერთი „აუდიტორია 115“-ის წევრი, რომელმაც ცრადც მომადგინა და ვერ გავიგე. მოგვრიალდი და დავუძახე, მე შეუბნები რამეს? ამის კითხვის შემდეგ მაშინვე ჩემსკენ დაიძრა და გადავიდა ხელის დარტყმაზე. დიდი ხანი ვცდილობდი მის გაკავებას, მაგრამ ადამიანი აშკარად პროვოკაციაზე იყო და არ გაჩერდა. ამის დროს ხმაურზე მოვიდა დაცვაც, „აუდიტორია 115“-ის წევრებიც ამოვარდნენ, თვითმმართველობის წევრიც და არანევერბიც, მოკლედ, ბევრი ხალხი მოვარდა. ეს ადამიანი გინებას არ წყვეტდა, მე მყავდა ჩახუტებული და ვიძახდი ხმამაღლა, რომ არავინ მიჰკარებოდა ახლოს და ასეც ხდებოდა, მაგრამ ეს მაინც იგინებოდა. სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა ქვემოდან ამოსული „აუდიტორია 115“-ის წევრის გოჩა სურგულაძის საქციელმა, რომელიც უკვე თვითმმართველობის მიმართულებით იგინებოდა. იყო ქაოტური სიტუაცია შესლა-შემოხლა, მაგრამ ის ფაქტი, რომ 20 კაცმა ვინმე ცემა, არის სიცრუე“, — წერდა პაატა ბახტურიძე.

სტუდენტებს შორის მომხდარ ინციდენტზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკითხის შესწავლა დაიწყო. ინციდენტის პირველადი მასალები შესასწავლად და შემდგომი დისციპლინარული რეაგირებისთვის გადაეცა უფლებამოსილ ორგანოებს. რაც შეეხება უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ვიდეოთვალთვით გადაღებულ ჩანაწერს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ეს მასალა გასაჯაროვდა.

„უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი, წესდება და უნივერსიტეტის შიდა განაწესი, ასევე, „უმბაღლესი განათლების შესახებ“ კანონი განსაზღვრავს იმ ზომებს, რასაც სტუდენტის მიერ დაწესებულების მინაგანაწესის დარღვევისას მიმართავენ. ეთიკის კოდექსის თანახმად, სტუდენტისთვის შეუფერებელ საქციელად მიჩნეულია ის ფაქტი, რაც მოხდა 24 მაისს და შესასწავლად გადაეცა უფლებამოსილ ორგანოებს“, — განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. მისივე განმარტებით, თუ შესწავლისას დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა დისციპლინარულ დარღვევებს, ინციდენტში მონაწილე სტუდენტების მიმართ გატარდება შესაბამისი ზომები (წესდებით და მინაგანაწესით განსაზღვრულია საყვედურის გამოცხადება, განმეორების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა).

24 მაისის საღამოს ცნობილი გახდა, რომ „აუდიტორია 115“ მეორე დღეს პირველი კორპუსის ეზოში სლოგანით: „ძირს მოძალადე

თვითმმართველობა!“ — საპროტესტო აქციას ატარებდა.

„აუდიტორია 115“-ის წევრებმა თვითმმართველობის ოთახში დაიკავეს

25 მაისს საღამოს 18:00 საათზე „აუდიტორია 115“-მა აქცია დაიწყო. გამომსვლელებმა დაგეს ძალადობა და კიდევ ერთხელ მოითხოვეს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან — გააუქმონ სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ძალადობის ორგანო, უნივერსიტეტში.

„აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი არბელიძემ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ცოტენ ცხვედიანს გაუსწორდნენ იმის გამო, რომ იგი ყოველთვის აფიქსირებდა მოსაზრებას, რომ სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ძალადობის ორგანო, არ უნდა არსებობდეს. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ძალადობრივი სტრუქტურა ყველა უნივერსიტეტში უნდა გაუქმდეს. ეს ორგანიზაცია ორი მთავარი მიზნისთვის შეიქმნა — ჩაახშონ თავისუფალი და განსხვავებული აზრი და მოაგროვონ საარჩევნოდ ხმები კონკრეტული პოლიტიკური პარტიისთვის (ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პოლიტიკური პარტია ხელისუფლების სათავეში). ჩვენთვის ცნობილია, როგორ დარბობდნენ დღევანდელი თვითმმართველობის წარმომადგენლები ერთ დროს ხუთნობრიანი მაისურებით. დღეს კი შეიცვალა ნომერი და ახლა მათ მაისურებზე 41 ნომერია ამოტვიფრული. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, და ეს ნაწილი არის უმრავლესობა, თანხმდება იმაზე, რომ უნივერსიტეტში არ შეიძლება არსებობდეს ერთიანი მონსტრი, როგორცაა თვითმმართველობა. ჩვენ შევთავაზებთ სახელმწიფოს, რომ ეს მონსტრი ჩანაცვლდეს უფრო თანამედროვე ევროპული სტანდარტების მოდელით, რომელიც გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტში შეიქმნება სხვადასხვა ინტერესის ჯგუფები, ვუნდოთ ამას თუნდაც კლუბი, რომელიც განახორციელებს თავის საქმიანობას არა ვილაციის დირექტივების, არამედ საკუთარი ინტერესის მიხედვით. ჩვენ ვცხოვრობთ სამარცხვინო სახელმწიფოში, რადგან არ არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ გააუქმონ ეს მოძალადე სისტემა. გუშინ გამოაცხადეთ, რომ სახელმწიფოს დღეს 18:00 საათამდე გაძლევდით თვითმმართველობის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ. პარასკევს არის დაგეგმილი მთავრობის სხდომა, რომელზეც უნდა განიხილონ ეს საკითხი. ჩვენი ინიციატივით, 45-ე მუხლი, რომლითაც რეგულირდება სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა, საერთოდ უნდა გაუქმდეს. დღეს ჩვენ ვნახეთ, რომ სახელმწიფომ არ გამოიჩინა ნება და არ აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. ამიტომ, ჩვენ თავად გამოვაძევეთ ამ მოძალადე ორგანიზაციას უნივერსიტეტიდან“, — განაცხადა გიორგი არბელიძემ.

დაახლოებით 19:00 საათზე სტუდენტმა ნათია ქარჩილაძემ აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა, დაეკავებინათ სტუდენტური თვითმმართველობის ოთახები პირველ კორპუსში. მონაწილეთა შემდეგ აქციის მონაწილე-



ბმა გადაინაცვლეს მე-2 სართულზე, სადაც, უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლეს კარების შემტრევა და ოთახების დაკავება. ამ ფაქტის შემდეგ სტუდენტებთან გასაუბრება სცადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ, თუმცა სტუდენტებმა მას არ მოუსმინეს.

გვიან ღამით მომხდარ ფაქტზე განცხადება გაავრცელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა და ადმინისტრაციამ. განცხადებაში ნათქვამია: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გომოს ბოლო დღეებში უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს. მიგვაჩნია, რომ ძალადობრივი და აგრესიული მეთოდებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება უცხო და მიუღებელია საუნივერსიტეტო გარემოსათვის. 2016 წლის 25 მაისს სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის რამდენიმე ოთახის ძალისმიერი მეთოდებით დაკავება არამართლზომიერია და ხელს უშლის უნივერსიტეტის ნორმალურ ფუნქციონირებას. მოვუწოდებთ სტუდენტებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებული ოთახები და თავი შეიკავონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან“.

ლექციები „ახალ“ აუდიტორიაში

26 მაისს მდგომარეობა არ შეცვლილა. „აუდიტორია 115“ დაკავებულ აუდიტორიებში შემეცნებით საქმიანობას შეუდგა. როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციები იტყობინება, კატო მიქელაძის სახელობის 303-ე აუდიტორიაში, ლექცია — „კატო და ლიზა: ქართული ქალები სამოქალაქო სივრცეში“ — ნაიკითხა ასოცირებულმა პროფესორმა ლელა გაფრინდაშვილმა, ხოლო ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძის აუდიტორიაში მოეწყო დისკუსია, რომელზეც ისაუბრეს ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძეზე, ისტორიულ კონტექსტსა და ქართული ფემინიზმის გამოწვევებზე (როგორც სოციალურ ქსელში ჩანს, კატო მიქელაძის და ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძის სახელობის თვად „აუდიტორია 115“-ს მუნიციპალიტეტის 303-ე და 213-ე აუდიტორიისთვის).

ამავე დღეს „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებს შეხვედნენ თსუ-ის აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებიც. შეხვედრის შემდეგ მათ ოფიციალური განცხადება გაავრცელეს: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დღეების განმავლობაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით აკადემიური საბჭო აცხადებს, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება მიუღებელია. აუცილებელია, დაუყოვნებლივ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები კონფორმაციის თავიდან ასაცილებლად, რათა ვითარება დაუბრუნდეს კანონიერ ჩარჩოებს. აკადემიური საბჭო მოუწოდებს სტუდენტებს ნებისმიერი საკითხი დიალოგის გზით გადაწყვიტონ. საბჭო მზადყოფნას გამოთქვამს, აქტიურად ჩაერთოს



დაპირისპირება „აუდიტორია 115“-სა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის დღემდე ბრძოლა

მესამე გვერდიდან

დიალოგი და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ფართო და ყოვლისმომცველი რეფორმირების პროცესს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე დიალოგი, რომელშიც არიან ჩართული სტუდენტები, მნიშვნელოვანია და უნდა გაგრძელდეს. უნდა გამოვიყენოთ ყველა სამართლებრივი საშუალება, რათა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში არსებული პრობლემები ერთად, ურთიერთმხარდაჭერით გადავჭრაო“.



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიცია

მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომხდარ ფაქტზე განმარტება გააკეთა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განმარტავს, რომ სტუდენტებთან შეხვედრები სისტემატურად იმართებოდა და სწორედ ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდა შეთანხმება იმ პრინციპულ ცვლილებებზე, რომელიც უნდა აისახოს საკანონმდებლო ინიციატივაში.“

შეთანხმება მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

ა. საფაკულტეტო საბჭოების სტრუქტურა პირდაპირი წესით არჩევნებს;

ბ. რექტორისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის წესის დარეგულირება;

გ. სტუდენტების თვითმმართველობასთან დაკავშირებით, კანონის გარდამავალ დებულებაში ისეთი ჩანაწერის გაკეთებას, რომელიც საფუძველს გააჩენდა და განსაზღვრავდა გარკვეულ ვადას, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდებოდა სტუდენტური გაერთიანებების ოპტიმალური მოდელი. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფდა სტუდენტების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორც არის სტუდენტების უფლებების დაცვა, ადმინისტრაციული და ფინანსურ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და სხვა.

აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე, სტუდენტების ორივე მხარეს ეთხოვა, გარკვეულ საკითხებზე წერილობით წარმოედგინათ პოზიციები, რომლის მიღების ვადა დღეს იწურება. მიღებული ინფორმაციის განხილვის შედეგად დაგეგმილია კანონში ცვლილებების ასახვა.

ამასთან, სამინისტრომ აიღო ვალდებულება, შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით, შეექმნა რეფორმაზე მომუშავე პლატფორმა, რომლისთვისაც სტუდენტების ორივე მხარეს უნდა წარმოედგინა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების კანდიდატურები. ამ ეტაპზე სამინისტრო სტუდენტების მხრიდან ელოდება კანდიდატების წარმოდგენას.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინ მომხდარი ინციდენტის გამო, სტუდენტებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს აღნიშნული შეთანხმებები. სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინციდენტის თაობაზე ისჯავებს და მიიღებს შესაბამის ზომებს, რადგან დაუშვებელია საუნივერსიტეტო სივრცეში მსგავსი ქმედებები“.

ამ განცხადების შემდეგ, 27 მაისს, მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორმაბათს, 30 მაისს, განათლების მინისტრი მზადაა შეხვედრის სტუდენტებს და მათთან ერთად განიხილოს პრობლემური საკითხები, თუმცა, როგორც „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ, სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, „აუდიტორია 115“ ელის მთავრობის იმ სხდომას, რომელმაც, მათი მოთხოვნით, უნდა გააუქმოს 45-ე მუხლი, რომელიც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირებას არეგულირებს.

უნივერსიტეტის რექტორატისა და მმართველი ორგანოს პოზიცია

უნივერსიტეტში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით მმართველმა ორგანოებმა რამდენიმე შეხვედრა გამართეს სტუდენტური თვითმმართველობისა და „აუდიტორია 115“-

ის წარმომადგენლებთან, ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან და ცენტრალურ და საფაკულტეტო ადმინისტრაციასთან.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება უნდა დაუბრუნდეს კანონიერ ჩარჩოებს“, — ეს არის ოფიციალური პოზიცია, რომელიც უნივერსიტეტის მმართველმა ორგანოებმა დააფიქსირეს.

ამავე დღეს თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 28 მაისს, უნივერსიტეტის სტუდენტების მოსაზრებების გაცნობის მიზნით, რექტორატი, აკადემიური საბჭო, ცენტრალური და ფაკულტეტების ადმინისტრაცია სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვედრა. „აუცილებელია პროცესების მონაწილე ყველა სუბიექტთან შეხვედრა, რათა მივიღოთ რეალური სურათი და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა“, — განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთაძემ.

„აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლების განცხადებით, სტუდენტურმა თვითმმართველობამ უნდა დატოვოს სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოყოფილი ყველა ოთახი. ასევე აღნიშნეს, რომ ყველა სტუდენტურ გაერთიანებას უნდა მიეცეს თანაბარი პირობები და წვდომა აუდიტორიებზე და სთხოვეს ადმინისტრაციას — განიხილოს მათი წინადადება.

სტუდენტური თვითმმართველობა, თავის მხრივ, მოითხოვს მათთვის ნორმალური სასწავლო და საშუალო პირობების უზრუნველყოფას, ასევე „აუდიტორია 115“-ის მიერ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში უკანონოდ დაკავებული აუდიტორიების გათავისუფლებას და თვითმმართველობის ოფისებში დაბრუნებას.

როგორც შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შორის დაძაბულობის განმუხტვისა და ვითარების ნორმალიზებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ყველა იმ კანონდარღვევის შეფასება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო თვეების მანძილზე.

უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების წარმომადგენლებმა დაგმეს როგორც სენატის სხდომის ჩაშლის ფაქტი, რომელზეც კანცლერის არჩევნები უნდა გამართულიყო, ასევე სტუდენტური თვითმმართველობის წევრების შეჭრა რექტორატში, უნივერსიტეტის რექტორზე, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავაზე სტუდენტების მხრიდან ზეწოლის ფაქტი გადადგომის მოთხოვნით, 24 მაისს სტუდენტებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება, სტუდენტური თვითმმართველობის ოთახებში შეჭრა, საჯარო სივრცეში ურთიერთშეურაცხყოფილი განცხადებები და სხვა ძალადობრივი ქმედებები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება, შევიდეს ცვლილებები უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში, მათ შორის ეთიკის კოდექსში,

სადაც გამკაცრდება რეაგირება სტუდენტებისა და პროფესორების მხრიდან არამართლზომიერი ქმედებისა და სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უახლოეს დღეებში ჩაატარებს დაკავებული 213-ე და 303-ე აუდიტორიების ინვენტარიზაციას იქ არსებული მატერიალური ქონების აღწერის მიზნით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასევე მნიშვნელოვან მიჩნევს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის პროცესის დაჩქარებას, რომლითაც უნდა განისაზღვროს სტუდენტურის თვითმმართველობის სტატუსი, თუ რა ფორმით მიიღებენ მონაწილეობას სტუდენტები უნივერსიტეტის მართვაში. ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დაძაბულობის ფონზე, რადგან არსებული კანონმდებლობით სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციები და მოვალეობები მკაფიოდ განერილია და მომავალ ცვლილებამდე სტუდენტებს ამ კანონის ჩარჩოებში მუშაობის საშუალება უნდა შეეძლოთ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, დროული საკანონმდებლო ცვლილება პრობლემის დროულად გადაჭრას შეუწყობს ხელს.

30 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა, აკადემიურმა საბჭომ, ცენტრალური და ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საკუთარი პოზიცია უკვე მედიის წინაშე დააფიქსირეს.

„დღეს შევიკრიბეთ კიდევ ერთხელ, რომ გამოსავალი ვიპოვოთ და გონივრულ ვადაში მოვცვეს საშუალება ამ პრობლემების მოსაგვარებლად. უნივერსიტეტი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ ჩარჩოებს. დღეს მოქმედებს კანონმდებლობა კი თვითმმართველობას კანონიერი სტატუსის მატარებელი ორგანოდ მიიჩნევა. ჩვენ ერთად – პარალელურ რეჟიმში უნდა ვთხოვოთ განათლების სამინისტროს და დავინყთოთ მუშაობა იმაზე, რომ, რაც შეიძლება მალე დასრულდეს პროცესი იმ ცვლილებების უმაღლესი განათლების კანონში, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტური ორგანიზაციის სტატუსს. ეს იქნება ხელშემწყობი ფაქტორი იმისა, რომ სტუდენტებს შორის დაპირისპირება აღარ იყოს. ასევე უნდა ჩამოვყალიბოთ შეხვედრით საუნივერსიტეტო სივრცეში იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა.“

არსებული ფორმით სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირებას ის სტუდენტებიც არ იწონებენ, რომლებიც თვითმმართველობის წევრები არიან. ამ ორგანიზაციის ტრანსფორმირება და მოდერნიზება აუცილებლად უნდა მოხდეს, მაგრამ რა სახის უნდა იყოს, იქნება სტუდენტური ჯგუფები, კლუბები თუ სხვა რამ, ეს არის უნივერსიტეტების გადასაწყვეტი. ამისთვის საჭიროა, სტუდენტთა ჯგუფებთან დამსახურებული შეხვედრები და კონსულტაციები, რათა ერთობლივად შევხედოთ საუკეთესო ვარიანტზე“, — განაცხადა

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთაძემ.

ამავე საკითხზე მოსაზრება გამოთქვა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ ვეფხვაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის წინაშე არის სრულიად ლეგიტიმური ორგანიზაცია და სანამ კანონში ეს ჩანაწერი არსებობს, უნდა მიეცეს მას მუშაობის საშუალება. „უნივერსიტეტი საკმაოდ რთული სიტუაციის წინაშე დგას, რადგან იწყება სასესიო პერიოდი და წინ არის ასევე პროგრამების რეაგირება ცვლილების და რეაგირება ცვლილების პროცესი, რისთვისაც უნივერსიტეტს სჭირდება მშვიდი საშუალო გარემო. ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ სტუდენტობას. მაქვს წინადადება — უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს — იქნება ეს თვითმმართველობისა და „აუდიტორია 115“-ის წევრი თუ სტუდენტი, რომელიც არც ერთ ამ ჯგუფს არ მიეკუთვნება, მიეცეს საშუალება, საუნივერსიტეტო რეფერენდუმის გზით გამოხატოს მოსაზრება, დააფიქსიროს სურვილი – როგორ ესახება სტუდენტური თვითმმართველობის ტრანსფორმირების საკითხი, როგორ უნდა იყოს ეს სტრუქტურა, ჩამოვყალიბოთ ერთიანი ხედვა, შევაჯეროთ პოზიციები და შევთავაზოთ ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტს და მთავრობას. ვფიქრობ, რომ ასე დიალოგით და შევერებულ პოზიციების გზით მივიღოთ გარკვეულ გადაწყვეტილებამდე. ეს გრძელვადიანი პროცესია, მაგრამ, ამ ეტაპზე, ნუ გავაკეთებთ ისე, რომ ჩვენი კეთილშობილური პათოსიდან გამომდინარე კი უნივერსიტეტი გასცდეს კანონის ჩარჩოებს“, — განაცხადა მან.

გამოთქმულ მოსაზრებებს შეუერთდა თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ლევდაშვილი. „დღიდან დაარსებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ლიდერ საგანმანათლებლო-კვლევით ინსტიტუციას საქართველოში და მას აქვს გარკვეული მისია. მივმართავ ყველა სტუდენტს – ყველა უნდა გაეფრთხილდეთ უნივერსიტეტს, ამიტომ ნუ გასცდებიან მართლზომიერების ფარგლებს. ყველა ვთანხმდებით იმაში, რომ უნივერსიტეტი რეფორმირებას საჭიროებს და ამ პროცესში თითოეული სტუდენტის მოსაზრება მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მაგრამ არა დაპირისპირებისა და დაძაბულობის ფონზე. კიდევ ერთხელ მივმართავ სტუდენტობას – დაუბრუნდეთ კანონიერების ჩარჩოებს და ერთად მივიღოთ გარკვეულ გადაწყვეტილებამდე“, — აღნიშნა გიორგი ლევდაშვილმა.

უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების წარმომადგენლები აგრძელებენ მსჯელობას შექმნილი სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავლის ძიების თაობაზე.

მომზადდა მაია ტორაძემ

რეაქციაზე პასუხი

უნივერსიტეტის რექტორატის, ადმინისტრაციის და ფაკულტეტების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს იმავე დღეს უპასუხა „აუდიტორია 115“-მა.

პრესკონფერენციაზე, რომელიც უნივერსიტეტში გაიმართა, „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთაძის წინადადება მიუღებელია „აუდიტორია 115“-სთვის. „ქალბატონი დარეჯანი წინადადებას გვთავაზობს, რომ დავინყთოთ მოლაპარაკება იმ კომპაგნიის სამართალმემკვიდრე, რაღაც სტრუქტურასთან. ჩვენ ვაცხადებთ, რომ „აუდიტორია 115“ არ აპირებს მოლაპარაკებაზე წასვლას, ჩვენ არ ვსაუბრობთ მათთან არც ერთ თემაზე. მეორე წინადადება, რაც ქალბატონმა დარეჯანმა წარმოადგინა, არის ის, რომ დავტოვოთ 213-ე და 303-ე აუდიტორიები. ჩვენ ვამბობთ, რომ უნივერსიტეტში არის აუდიტორიების დეფიციტი და ეს აუდიტორიები უნდა გადაეცეს უნივერსიტეტის სტუდენტებს საერთო საკუთრებაში. აქ უნდა მოეწყოს სასწავლო აუდიტორიები. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის უამრავი თანამდებობის პირი, აკადემიური თუ არააკადემიური პერსონალი, რომელთაც არ აქვთ კაბინეტები და მაინც მუშაობენ, შესაბამისად, იმის თქმა, რომ მათ (თვითმმართველობას) აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საუბარს დავინყებთ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი ჩვენსკენ კი არ მოიშვერს თითხ, რომ დამნაშავეები ვართ, არამედ დასჯის მიერ, რომლებმაც ვანდალური აქტი ჩაიდინეს“, — აღნიშნა ლევან ლორთქიფანიძემ.

ერთადერთი საკითხი, რაშიც „აუდიტორია 115“ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ეთანხმება, მთავრობისადმი მიმართვაა — რაც შეიძლება მოკლე დროში შევიდეს ცვლილებები კანონში და განისაზღვროს სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირების სტატუსი. „პრემიერ-მინისტრი, რასაც დავგპირდა, ის გააკეთოს და უნივერსიტეტში სიტუაცია დროებით მაინც ჩაწყნარდება. რამე თუ მოხდება, და ამის საფრთხე არსებობს, მთავარი პასუხისმგებლობა დაეკისრება მთავრობას, რომელმაც ჩვენ მიერ ინიცირებული ცვლილებები უკანასკნელ მთავრობის სხდომაზე არ გაიტანა და რაღაცებს გადავადებს შეეცადა“, — აღნიშნა ლევან ლორთქიფანიძემ.



რამ უნდა იყოს „აუდიტორია 115“-სა და განათლების სამინისტროს შორის მოლაპარაკებების პროცესი?

„აუდიტორია 115“ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმებასა და სტუდენტური გაერთიანებებით (კლუბებით) ჩანაცვლებას ითხოვს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართული შეხვედრების დროს შედგა შეთანხმება ერთნაირი მორატორიუმის გამოცხადების შესახებ, როდესაც სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის საკითხი ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად უნდა განხილულიყო. თუმცა, მოახლოებული არჩევნების გამო და, ასევე, „აუდიტორია 115“-სა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის ბოლოს მომხდარი დაპირისპირების შედეგად „აუდიტორია 115“ სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმებას დაუყოვნებლივ ითხოვს. მოთხოვნის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის 6 თვით გახანგრძლივებაც გახდა. „აუდიტორია 115“-ის სტუდენტები პოლიტიკურ ინტერესებზე საუბრობენ. მათ განათლებისა და სამინისტროში უკვე გადავ ზავნეს წერილი, სადაც დასაბუთებულია მათი 3 მთავარი მოთხოვნა: სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტის სისტემური რეფორმა; საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტთა არჩევის წესი; რექტორისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე გამწვანების წესი. „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნების შესახებ გაერთიანების წევრს გიორგი სურგულაძეს ვესაუბრეთ.

— რას გულისხმობს „აუდიტორია 115“-ის მიერ შემუშავებული პროექტი სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის კუთხით და რატომ უნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მოლაპარაკებები?

— აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ისახავს სტუდენტურ თვითმმართველობაში კონცენტრირებული ძალაუფლების დეცენტრალიზებას. ჩვენ თვითმმართველობის ორი ფუნქცია გამოვყავით – 1. სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც წარმომადგენლობითი ინსტიტუტი და 2. თვითმმართველობა, როგორც სტუდენტური აქტივობების/ცხოვრების (საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული) ორგანიზატორი.

ცენტრალიზებული სტუდენტური კავშირის რეფორმირებისთვის კანონში გაჩნდება ჩანაწერი, რომ: სტუდენტები საფაკულტეტო საბჭოში თავიანთ წარმომადგენლებს აირჩევენ პირდაპირი და ფარული კენჭისყრით; სტუდენტს არ აქვს უფლება ერთდროულად ორ წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი და საფაკულტეტო საბჭო) იქნას არჩეული; უნივერსიტეტ(ებ)ს დაევალებათ, სტუდენტური ხარჯების გამოყოფის დროს შიდა წესდებით შექმნან ისეთი მექანიზმი, რომელიც დაეფუძნება თანასწორობის, გამჭვირვალობის, ყოვლისმომცველობის და სხვა დემოკრატიულ პრინციპებს, ანუ მასზე წვდომა ნებისმიერ სტუდენტს ან გაერთიანებას თანასწორად ექნება. 45-ე მუხლი თვითმმართველობის შესახებ გაუქმდება და მისი

უფლებები თავისუფალი ნების პრინციპზე დაფუძნებულ გაერთიანებებს გადაეცემა.

აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებისთანავე, უნივერსიტეტ(ებ)მა შიდა წესდებით უნდა შეიმუშაონ, ერთი მხრივ, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა არჩევის მეთოდი და, მეორე მხრივ, პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების დოკუმენტი, რის საფუძველზეც იხელმძღვანელებენ დაფინანსების მაძიებელი სტუდენტები ან/და გაერთიანებები. იმის გამო, რომ აქამდე სტუდენტური ცხოვრების დაფინანსების მახინჯი ფორმა არსებობდა, სტუდენტთა ჩართულობაც და ინტერესიც მეტწილად ნაკლები იყო.

— თქვენი შეთავაზების მიხედვით, პარალელურად სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ინსტიტუტი, ფუნქციონირებას განაგრძობს?

— „თვითმმართველობის“ ცნება უფრო დიდია, ვიდრე სტუდენტური კავშირი. „აუდიტორია 115“ თავიდანვე აყენებდა მოთხოვნას სტუდენტური თვითმმართველობის „ფორმალური“ ინსტიტუტის გაუქმების შესახებ და მხარს უჭერდა „არაფორმალურ“ ინსტიტუტს — თავისუფალ ნებაზე დაფუძნებული გაერთიანებების არსებობას.

სამინისტროსთან ბოლო დროინდელი შეთანხმებით, 45-ე მუხლზე 1 წლიანი მორატორიუმი გამოცხადდება, რაც გულისხმობს იმას, რომ თვითმმართველობა ფუნქციონირებას შეწყვეტს მანამდე, ვიდრე საკანონმდებლო ხარვეზები არ მოწესრიგდება. თვითმმართველობის არჩევიდან ვადის ამონურვის შემდეგ, მათ უწყდებათ ყოველგვარი უფლებამოსილებები, გარდა ამისა, აღარ ჩატარდება არჩევნები.

— კანონმდებლობაში ეს ცვლილებები კონკრეტულად როგორ აისახება?

— გაუქმდება თვითმმართველობის 45-ე მუხლი. სტუდენტები საფაკულტეტო საბჭოებში თავიანთ წარმომადგენლებს პირდაპირ აირჩევენ. ამის პარალელურად გაძლიერდება სტუდენტთა უფლებების amsaxveli 43-ე მუხლი.

მაგალითად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ სტუდენტს ან/და გაერთიანებას ექნებათ ფინანსური რესურსით სარგებლობის თანაბარი უფლება, ამის შესაძლებლობა კი უნივერსიტეტმა შიდა წესდებით უნდა უზრუნველყოს. ჩვენ მიზანშეუწონლად მივიჩნით კანონპროექტში მკვეთრი ჩანაწერების გაკეთება, რადგან კანონი საყოველთაოა და სხვა უნივერსიტეტებზე, შესაძლოა, უარყოფითად ემოქმედა.

— ახლა რა ეტაპზეა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მოლაპარაკებები?

— იმის გამო, რომ მოლაპარაკებების პროცესი სამინისტრომ სპეციალურად განელა და, იმავდროულად, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები (20 კაცი) „აუდიტორია 115“-ის აქტივისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ჩვენ ყოველგვარი მოლაპარაკებები შეწყვეტილია.

მოლაპარაკებების შეწყვეტამდე სამინისტროსთან მივალწიეთ გარკვეულ შეთანხმებას. 45-ე მუხლზე გამოცხადებულა მორატორიუმი, მო-



გიორგი სურგულაძე

რატორიუმის გამოცხადების შემდგომ შეიქმნებოდა საერთო პლატფორმა, სადაც „აუდიტორია 115“, განათლების ექსპერტები და სამინისტროს წარმომადგენლები იმსჯელებდნენ თვითმმართველობის (როგორც წარმომადგენლობითი ინსტიტუტის და სტუდენტთა ცხოვრების ორგანიზატორის) უფლებამოსილებების განხორციელების ახალ ფორმაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს დაეფუძნებოდა.

მოლაპარაკებების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ სამინისტრომ არ დაგვიდასტურა კანონის ამოქმედების შემთხვევაში თვითმმართველობის უფლებამოსილებების შეწყვეტის შესაძლებლობა (იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთი ნებით გაიხანგრძლივებდნენ მანდატებს). ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მთავრობას არ გააჩნია პოლიტიკური ნება წინა საარჩევნოდ გააუქმოს აღნიშნული „მახინჯი“ წარმონაქმნი, როგორც სტუდენტური თვითმმართველობა. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ სტუდენტური თვითმმართველობების ლიდერები წარმომადგენელ მმართველი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივს. აღნიშნული პრაქტიკა წინა ხელისუფლების დროსაც გამოიყენებოდა და, უნდა ითქვას, არც თუ ისე ცუდად.

ამ ეტაპზე, განათლების სამინისტრო კვლავ გეთავაზობს მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომას, მაგრამ ჩვენ იქამდე ვეტყვიით უარს, ვიდრე ისინი არ აიღებენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აღნიშნული ინსტიტუტის გაუქმების შესახებ.

— სტუდენტური თვითმმართველობისა და „აუდიტორია 115“-ის წევრებს შორის ბოლოს მომხდარი დაპირისპირებას სტუდენტური თვითმმართველობის წევრები თქვენი მხრიდან მიზანმიმართულ პროვოკაციას უწოდებენ. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს? თქვენს ინტერესებში ხომ არ შედიოდა დაძაბულობის შექმნა, რათა დაგეყნოთ აქტიური საპროტესტო აქციები, გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტი, რომელიც უკვე პარლამენტში უნდა ყოფილიყო შეტანილი, ჯერაც გაუმართავია...

— არსებობს ვიდეო მასალა, სადაც გარკვევით ჩანს — ლექციიდან გამოსულ ცოტნე ცხვედიანს როგორ უსწორდება სტუდენტური თვითმმართველობის 20-მდე პირი. ჩვენ ეჭვი გვაქვს,

რომ აღნიშნული კონფლიქტი თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტის ფოტოს გამოქვეყნებას უკავშირდება, სადაც შალვა საბაური ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად მოსახლეობას ხვდება.

ძალადობას წინ უძღოდა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის — პაატა ბახტურიძისა და შალვა საბაურის პრესკონფერენცია, სადაც ისინი „შეპარვით“ გვემუქრებოდნენ, ერთი მხრივ, სამინისტროს და, მეორე მხრივ, „აუდიტორია 115“-ის აქტივისტებს, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგ დესტრუქციულ მეთოდებს მიმართავდნენ. ისინი თანამდებობიდან გადადგნენ, რამაც გასაქანი მისცათ დაპირისპირების მსგავს ფორმაში გადასატანად.

ეს არ იყო მათ მიერ სტუდენტებზე ძალადობის პირველი შემთხვევა. ისინი წლების განმავლობაში ფიზიკურად და სიტყვიერად ძალადობდნენ სტუდენტებზე და ამის ვიდეო მასალაც არსებობს.

რაც შეეხება კითხვას იმის შესახებ, რომ ცოტნე ცხვედიანის მსხვერპლად ქცევა ჩვენს მიზანს ემსახურებოდა თუ არა?! — ამაზრზუნად მიიჩნია. ჩვენთვის ნებისმიერი სახის ფიზიკური დაპირისპირება მიუღებელია. მათ შორის მიუღებელია თვითმმართველობის წევრთა მიერ ჩვენი აქტივისტის ფიზიკური ჩავჯრა.

— თქვენ საუბრობთ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანაზე. კანონი საქართველოში არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელს ეხება. თანამშრომლობთ სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან? როგორია მათი პოზიცია?

— „აუდიტორია 115“ არ გახლავთ მხოლოდ თსუ-ის სტუდენტთა გაერთიანება. ჩვენს რიგებში არიან სტუდენტები ილიაუნიდან, სამხატვრო აკადემიიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან, კონსერვატორიიდან, სამედიცინო უნივერსიტეტიდან და სხვა სასწავლებლებიდან. ჩვენ უკვე ჩავატარეთ გასულითი შეხვედრები რამდენიმე უნივერსიტეტში, მათ შორის, ბსუ-ში, ანსუ-ში, თსსუ-ში, სოხუმის უნივერსიტეტში და სხვა სასწავლებლებში. ახლო პერიოდში ვგეგმავთ სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრებს.

სიმართლე გითხრათ, სისტემის ჩავარდნა არა მხოლოდ თსუ-ში, არამედ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ფიქსირდება. სტუდენტური თვითმმართველობის არსებული ფორმა სხვა სასწავლებლებშიც არ მოსწონთ. ისინი, თსუ-ის თვითმმართველობის მსგავსად, ათასობით ლარს ფლანგავენ გართობასა და დასვენებაში. სტუდენტებს და ლექტორებს „სხვა“ უნივერსიტეტშიც არ მოსწონთ რექტორის, დეკანის, კანცლერის, ლექტორის და სხვა პირთა არჩევისა თუ დანიშვნის წესები. ჩვენ ვითხოვთ მეტ დემოკრატიას ძალადობის, დაშინებისა და მუქარის ნაცვლად.

„აუდიტორია 115“-ის მიერ შემუშავებული კანონპროექტის შესახებ სრული ინფორმაცია ჩვენს ბლოგზე – Auditorium115.wordpress.com — არის განთავსებული.

მომზადდა ნატო ოპოლაქიმ



სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტებმა თანამდებობები დატოვეს

წინა ვაკანსიების სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შალვა საბაურმა, ვიცე-პრეზიდენტებმა — პაატა ბახტურიძემ და თორნიკე ცინაძემ თანამდებობები დატოვეს, რის შესახებაც მათ 18 მაისს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადეს. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტი შალვა საბაურმა მისი და ვიცე-პრეზიდენტების მხრიდან თანამდებობების დატოვების შესახებ ისაუბრა.

„ჩვენ ვასრულებთ სიტყვას, რომელიც უნივერსიტეტისთვის კრიზისულ პერიოდში დავდეთ — თუ რექტორი ვლადიმერ პაპავა დატოვებდა თანამდებობას, ჩვენც ანალოგიურად მოვიქცევოდით, თუმცა, მას შემდეგ კიდევ გაგრძელდა კრიზისული პერიოდი უნივერსიტეტში. დღეს შედარებით მშვიდი გარემოა, ამიტომ ვასრულებთ სიტყვას, რადგან გვსურს, დავანახოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი მიზანი არ არის პოზიციების შენარჩუნება“, — განაცხადა შალვა საბაურმა.



ბრიფინგზე თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტი მომავალ არჩევნებზეც ისაუბრა: „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ, ბრძანების საფუძველზე, არაუმეტეს 6 თვით გადავავადოთ არჩევნები. იმედია, ამ დროის განმავლობაში გარკვეული პოზიციები დარეგულირდება. ჩვენ ფაკულტეტის საბჭოებში ვაგრძელებთ საქმიანობას და, იმავდროულად, ჩვერთვებით ნებისმიერ იმ პლატფორმაში, რომელზეც საუბარი იყო არა ერთი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის მხრიდან თვითმმართველობის მოდერნიზებასთან დაკავშირებით. მზად ვართ, რომ ჩვენი გამოცდილება და ცოდნა გავუზიაროთ იქ მყოფ ნებისმიერ ადამიანს“, — აღნიშნა შალვა საბაურმა.


შალვა საბაურის განცხადებით, ვიცე-პრეზიდენტებთან ერთად გააგრძელებენ ბრძოლას უნივერსიტეტის ავტონომიისთვის უკვე სტატუსების გარეშე, როგორც თვითმმართველობის რიგითი წევრები. აღსანიშნავია, რომ 18 მაისს დღევანდელ საერთო კრებაზე სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად (არაუმეტეს 6 თვის ვადით) თვითმმართველობის წევრი ბახვა კვირიკაშვილი აირჩიეს.

სურსთია გაროშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხედვა მიმდინარე პროცესებზე

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტური თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუციის, რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს. თუმცა მოსაზრებას მისი გაუქმებისა და სტუდენტური გაერთიანებებით ჩანაცვლების თაობაზე არ ეთანხმება. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბახვა კვირიკაშვილი აცხადებს, რომ საჭიროა მოლაპარაკებების მაგიდასთან ყველა მხარე დასხდეს და მთლიანად სტუდენტურმა საზოგადოებამ გადაწყვიტოს — რა არის ოპტიმალური ვარიანტი — თვითმმართველობის გაუქმება თუ რეფორმა. გვესაუბრება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბახვა კვირიკაშვილი.

— ჩემთვის პირადად მიუღებელია მსგავსი სახის ბრალდება. სასაცილოა, რომ დღეს ვინმე თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს. წელს მომხდარ მოვლენებს თუ გავიხსენებთ, მუდმივად მიმდინარეობდა სტუდენტური თვითმმართველობის მიზანმიმართული დისკრედიტაცია. საზოგადოებას აწვდიან არასწორ ინფორმაციას, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა დანაშაულია და ეს იმის პარალელურად, რასაც სტუდენტური თვითმმართველობა აკეთებს. უამრავი პროექტი ხორციელდება როგორც სამეცნიერო-სასწავლო, ასევე, გასართობი. ამ დროს ორგანიზატორები არანაირ ანაზღაურებას არ იღებენ. მაგალითად, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასშტაბით ორგანიზებას უწევს იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარებას. ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ სასწავლო პროცესში პრაქტიკული კურსების ნაკლებობას.



ბახვა კვირიკაშვილი

დენტური თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუციის, დაუყოვნებლივ გაუქმებას ითხოვს. როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით?

— არ ვიმიჯნობდი იმ ადგილას, სადაც კონფლიქტი მოხდა. ერთი მხარე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენელი 20-მა კაცმა სცემა, მეორე მხარე ამბობდა, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია. რა თქმა უნდა, მე მეტი წვდომა მეორე მხარესთან მაქვს და, ადამიანური გადმოსახედიდანაც, მათი მჯერა. თუმცა, ველოდებოდი კადრებს, რომელიც თსუ-ის დაცვის სამსახურმა გაავრცელა. იქ კარგად ჩანს, თუ როგორ მიდის ცოტნე ცხვედიანი პაატა ბახტურიძისთან და რამდენი ხნის განმავლობაში ცდილობს პაატა ბახტურიძე ამ ადამიანის შეკავებას. მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა. იქ სხვა სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. არც 20 ადამიანი ურტყამდა ერთ ადამიანს, როდესაც მე მათი გაშვება დავინწყე. სამწუხაროდ, მოხდა კიდევ ერთი ფაქტი. „აუდიტორია 115“-ის წევრი გოჩა სურგულაძე მოვიდა ჩვენთან და დაიწყო ჩვენი მისამართით გინება. მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტი არ არის ჩხუბის ადგილი, ყველამ უნდა ვიზრუნოთ განვითარებაზე. სხვათა შორის, ამ ინციდენტამდე ორჯერ შევათავაზე „აუდიტორია 115“-ის წევრებს მოლაპარაკებების დაწყებას. საპასუხოდ კი მათ სტუდენტური თვითმმართველობის ოთახები დაიკავეს. იმედი მაქვს, რომ აუდიტორია 213-ში არაფერი დაიკარგება და გაფუჭდება. იქ არის სტუდენტური თვითმმართველობის არქივი 2010 წლიდან და ტექნიკა. როდესაც დაგზრუნდებით ოთახში, ყველაფერს აუცილებლად აღვწერთ. სამწუხარო ფაქტია, რომ უნივერსიტეტში მშვიდ, ნყნარ, სამართლებრივ სივრცეში გადასული ვითარება ისევ დაიძაბა. იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი შექმნილ ვითარებას ობიექტურად შეაფასებს. და კიდევ, ეთიკის კომისიაზე იგეგმება აღნიშნული დაპირისპირების ფაქტის განხილვა, აპირებენ ინციდენტში მონაწილე სტუდენტების სტუდენტის სტატუსის გაუქმებაზეც მსჯელობას. ვაცხადებ, პირადად ვიზრუნებ, რომ ამ დაპირისპირებაში მონაწილე არც ერთ სტუდენტს არ შეუჩრდეს სტუდენტის სტატუსი. მთავარია, რომ მათ მისთვის საქცილის გაიყოს ვითარება მხარეები მათ შორის და აღარ გამეორდეს. თუმცა აქვე დავამატებ, რომ არა ეს დაძაბული ფონი, არაფერი მოხდებოდა. სამწუხაროდ, იმ დღეს დილიდან საჩხუბრად იყვნენ „აუდიტორია 115“-ის წევრები მომართულნი. სოციალურ ქსელში შალვა საბაურს შეურაცხყოფა მიაცემეს. საბოლოოდ, უმტყუნა ამ ადამიანებსაც მოთმინებამ. თუმცა, ვფიქრობ, რომ მეტი თავშეკავება გემართება. მივმართავ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასაც, რომ ამ სტუდენტებს სტატუსი არ შეუჩრდეს.

— რას ფიქრობთ, საჭიროებს თუ არა სტუდენტური თვითმმართველობა რეფორმას?

— ნებისმიერი სტრუქტურა, რომელიც, დაახლოებით, 10 წლის განმავლობაში ფუნქციონირებს, რეფორმას საჭიროებს. აუცილებელია, რომ იგი თანამედროვე ცვლილებებს მოერგოს და განვითარდეს. თუმცა არსებობს უამრავი განსხვავებული შეხედულება რეფორმის მიზანობრივი თვალსაზრისით. რეფორმა მხოლოდ თსუ-ს არ ეხება, ამიტომაც საჭიროა პლატფორმის შექმნა და ამ საკითხის განხილვა. მოლაპარაკებები დაწყებულია, ამ პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები და პრემიერ-მინისტრიც ჩართულია. იმ შემთხვევაში, თუ კიდევ ვერ შევჯერდებით ერთ აზრზე, მაშინ არსებობს გამოსავალი: 6 თვეში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება და ყველა დაინტერესებულმა სტუდენტმა, სტუდენტურმა გაერთიანებამ მიიღოს მასში მონაწილეობა, წინასწარ წარმოადგინონ თავისი პროგრამები, თუ როგორ სურთ სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირება — უნდათ მხოლოდ კონკრეტული სახის ცვლილებები თუ საერთოდ გაუქმება. არჩევნების შედეგებით კი დადგინდება, თუ როგორ წარიმართება სტუდენტური ცხოვრების განვითარება.

— ამ დროისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თუ გაქვთ მოლაპარაკებები?

— ჩემთან, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან, ჯერ არანაირი კონტაქტი არ ყოფილა. თუმცა, ვიდრე შალვა საბაურს უფლებამოსილება შეუნწყებოდა, სამინისტროში მიმხვედრები. იქ სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმების საკითხი არ განუხილავთ, საუბარი იყო მოლაპარაკებების პლატფორმის შექმნაზე. ზოგადად, თუ ვინმეს არ მოსწონს ამ მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა, მაშინ უნდა შეცვალოს დემოკრატიული პროცესით. დამთავრდეს ულტიმატუმების ენით საუბარი! ეს, პირველი რიგში, სტუდენტებისთვის არის მავნებელი, რადგან ჩვენი განვითარება ფერხდება.

— „აუდიტორია 115“-ის წევრთა პროექტის მიხედვით, მათ სურთ, რომ საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტების არჩევა პირდაპირი წესით მოხდეს...

— რაც შეეხება საარჩევნო სისტემის ცვლილებას, რეფორმას, ისინი ამ საკითხების განსახილველადაც კი არ მოდიან კომუნიკაციაზე...

— ანუ თქვენ მოლაპარაკებების დაწყებაზე თანახმა ხართ?

— რა თქმა უნდა, მსოფლიოში არსებობს ძალიან ბევრი დემოკრატიული საარჩევნო სისტემა, უბრალოდ მოცემულ სიტუაციაში რომელი არის უკეთესი, რომ პოლიტიკური გაკლენებისგან თავი დაიზღვიოთ, ეს უნდა განვსაზღვროთ. შეიძლება შევთანხმდეთ, რომ ჩავატაროთ 20 დღეგატის არჩევნები, საუკეთესო შედეგების მქონე 9 წევრი შევა საბჭოში, დანარჩენი წევრები კი რეზერვში იქნებიან. იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ უფლებამოსილებაზე უარი თქვა, დამატებითი არჩევნების ჩატარება არ დაგჭირდება. ვგულისხმობ, რომ საკითხს მიუღდგეთ სწორად და ცუდი მენეჯმენტის გამო ის მოგვი-

წიოს დამატებით ფინანსური რესურსისა და დროის ხარჯვა. შეგვიძლია შერეული საარჩევნო სისტემის შემოღებაც. მაგალითად, კურსების მიხედვით, ანუ ყოველ კურსზე საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტები შევიდნენ საფაკულტეტო საბჭოში. ეს დაახლოებით ის ვარიანტებია, თუ რა შეიძლება გაკეთდეს. საჭიროა მხოლოდ ნება როგორც „აუდიტორია 115“-ის, ასევე, ზოგადად, სხვა სტუდენტების მხრიდანაც.

— როგორია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის სამოქმედო გეგმა უახლოესი 6 თვის განმავლობაში?

— ჩემი უფლებამოსილება გრძელდება 6 თვე და შემდეგ სტუდენტურმა საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს — ვინ იქნება შემდეგი მოწვევის წევრები და როგორი სტრუქტურა ექნება ამ ინსტიტუტს. ჩემი პირველი მოწოდება იყო დიალოგის დაწყება. ანუ თუ ვესაუბრებოთ მიუღებელი, მაშინ შეცვალეთ ვიმუშაოთ ამ საკითხზე. თუ სტუდენტები ფიქრობენ, რომ კულტურულ ღონისძიებებში დიდი თანხა იხარჯება, მაშინ შევამცირებთ და საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა გავზარდოთ. უნივერსიტეტში ბევრი კარგი ბენეფიცი არაა, მაგრამ ჯგუფების მოწვევას, სჯობს, ისინი მოვიწვიოთ, მათზე ვიზრუნოთ. თუ ჩვენი სერტიფიკატები რომელიმე ფაკულტეტზე სტუდენტებს სტიპენდიის მოპოვებისთვის არ გამოადგებათ, მაშინ დავლაპარაკებოთ ადმინისტრაციას, რომ კარგად შეაფასონ ჩვენ მიერ ჩატარებული კონფერენციები და მერე მიიღონ გადაწყვეტილება. ჯერ კიდევ ორი წლის წინ განვაცხადეთ, რომ პრიორიტეტი განათლების მიმართულია. თუმცა, მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობა, თავისი საქმიანობით, ვერ შეძლებს განათლების ხარისხის გაზრდას.

— სტუდენტური თვითმმართველობის წევრებსა და „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება საპროტესტო აქციების დაწყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. „აუდიტორია 115“ სტუ-

მომზადა ნატო ოპოლაქამ

ტსუ-მ და თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო- ტექნიკურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი წარმოადგინეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც საუბარი შეეხო ქართულ ენაზე დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარებას საქართველოში. ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს თავდაცვის, სხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა სამხედრო ტერმინთა ლექსიკონი შეადგინეს; შეისწავლეს ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სამხედრო ტერმინები და შეიმუშავეს მათი ქართული შესატყვისები; სასაქონლო მარაგების სამხედრო-ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი თსუ-სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა.



დელი პრეზენტაცია კიდევ ბევრი სხვა ამ ტიპის ლექსიკონის შექმნის წინაპირობა იქნება.

„სამხედრო ტერმინოლოგიის შემუშავება თითქმის დასრულებულია. როგორც პროექტის მსვლელობის დროს გახდა ცნობილი, აქამდე არ არსებობდა ერთიანი გამტკიცებული სტანდარტულ ტერმინთა ნორმატიული ბაზა. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთობლივად ვმუშაობთ ერთიანი ტერმინოლოგიის ნორმატიული ბაზაზე, რასთანაც შესაბამისობაში იქნება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტერმინთა ტექნოლოგიური ლექსიკონი. მუშაობის დასრულების შემდეგ შეგვე-

ღება უკვე, როგორც თავდაცვის სამინისტროში, ასევე კერძო სტრუქტურებში ამ ლექსიკონის გამოყენება“, — აღნიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი უჯმაჯურიძემ.

„სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობა, ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. სასიხარულოა, რომ თავდაცვის სამინისტროსა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგა. შეიძლება ითქვას, ეს პირველი ნაბიჯებია, სამხედრო ტერმინოლოგიის გარკვეული მიმართულების დამუშავების. თუმცა ჩვე-

ნი საბოლოო მიზანია, სამხედრო ტერმინოლოგია მთლიანობაში დამუშავდეს“, — განაცხადა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვაჟა შენგელიამ.

ქართული ენის უახლესი აქტუალური პრობლემები უშუალოდაა დაკავშირებული დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების ფაქტობრივ შეწყვეტასთან საქართველოში. ტერმინოლოგიური პოლიტიკის მოშლის შედეგად მივიღეთ ტერმინოლოგიური სიჭრელე, რომელიც თანდათან ამძიმებს და საურთიერთოდ მოუხერხებელს ხდის ქართულ სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანსა თუ სასაზღვრო ენას. ბოლო ხანს საზოგადოებაში არასწორად გამოიკვეთა აზრი, თითქოს ქართული ენის შერყენას უმეტესწილად მასმედიის უპასუხისმგებლობა იწვევს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს საერთო პრობლემაა, რომელსაც ქართველი საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება.

ტერმინოლოგიურ სირთულეთა დაძლევის საყურადღებო მცდელობაა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებული პროექტი, რომელშიც ჩართულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. პროექტის საბოლოო მიზანია შეიქმნას ქართული სამხედრო ნორმატიული ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა. საზოგადოდ კი ეს თანამშრომლობა ერთგვარი სანიმუშო პროექტად შეიძლება იყოს ახალი მოთხოვნების შესაბამისი აკადემიური ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა და ელექტრონული ბაზების მოსამზადებლად.

მომზადდა საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურმა

გამოხმაურება

ტსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის განცხადება

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტში გაიმართა სამხედრო-ტექნიკური ელექტრონული ლექსიკონის პრეზენტაცია, რომელიც შეიქმნა უნივერსიტეტსა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და რომელიც პირველი ლექსიკონია ამ მიმართულებით.

ეს განცხადება გასაკვირია შემდეგი მიზეზების გამო:

1. უნივერსიტეტსა და თავდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებამდე რამდენიმე წლით ადრე, კერძოდ 2008 წელს, უნივერსიტეტსა და თავდაცვის სამინისტროს (მინისტრი ბატონი დავით სიხარულიძე) შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თსუ-ის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შეიქმნა ინგლისურ-ქართული სამხედრო ელექტრონული ლექსიკონი. ლექსიკონის კონსულტანტები იყვნენ სამხედრო აკადემიის სპეციალისტები. 2009 წელს სამხედრო აკადემიაში გაიმართა ლექსიკონის პრეზენტაცია და ელექტრონული ლექსიკონები დისკის სახით გადაეცა სამხედრო აკადემიას. მოგვიანებით შეიქმნა ლექსიკონის ონლაინ-ვერსია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია განთავსებულია ინტერნეტში მისამართზე: <http://mil.dict.ge>. ეს ინფორმაცია ცნობილი იყო როგორც უნივერსიტეტისათვის (იხ. ლექსიკოგრაფიული ცენტრის ვებ-გვერდი უნივერსიტეტის საიტზე), ისე არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის. მიუხედავად ამისა, მემორანდუმის გაფორმების დროს უკვე ინტერნეტში განთავსებული 10000-სიტყვიანი ლექსიკონი არავის უხსენებია, თორემ გახსენებით, სავარაუდოდ, გაახსენდებოდათ.

2. საზოგადოებისათვის წარდგენილი ლექსიკონი არ არის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით. პირველ სერიოზულ ნაბიჯად უნდა



თინა მარგალიძე

ჩაითვალოს ივ. შაიშუმელაშვილის სამხედრო ტერმინოლოგია („განათლება“, თბილისი, 1987), რომელიც რუსულ-ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონია. გარდა ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შედგენილი ინგლი-

ბრივად სხვადასხვა ნაწარმოებია. სამხედრო დარგი იმდენ მიმართულებას და ქვე მიმართულებას მოიცავს, რომ ამ სფეროს ტერმინოლოგიის მიახლოებით მაინც ამოწურვა მოითხოვს წლებს და მრავალი ადამიანის დიდ თავგანწირვას. ერთი ლექსიკონის გამოცემა ხელს არ უშლის სხვა ლექსიკონების არსებობას ან მომავალში გამოქვეყნებას. ასეთივე მძიმე მდგომარეობაა ნებისმიერი დარგის ტერმინოლოგიაში. რაც მეტი აკადემიური ლექსიკონი გამოვა საქართველოში, მით უკეთესი ჩვენი ქვეყნისათვის და ენისათვის. ამ ფონზე უნივერსიტეტის მიერ საკუთარი ლექსიკოგრაფიული ცენტრის თავდაუზოგავი შრომის და გამოქვეყნებული აკადემიური ლექსიკონების იგნორირება საწყენი და დასანაღია ცენტრის რედაქტორებისთვის.

კოლეგა ლექსიკოგრაფებს კი ჯეროვანი პატივისცემით ვეტყოდით, რომ ლექსიკო-

ახალი ლექსიკონების შექმნის ჩათვლით. მაგრამ, ამავე დროს, მეცნიერება (ისევე, სხვათა შორის, როგორც ხელოვნება) წარსული გამოცდილების, წინამორბედთა (თუნდაც მოკრძალებული) წვლილის გათვალისწინებას გულისხმობს. შესაბამისად, ნებისმიერ ეპოქაში, მეცნიერი (ან ხელოვანი) სამეცნიერო (თუ სხვა სახის) მოღვაწეობის დაწყებისას ეცნობა და ითვალისწინებს შესაბამის დარგში წლებით და საუკუნეებით დაგროვილ გამოცდილებას, წინამორბედთა მიღწევებსა თუ წარუმატებლობას, მათ შემოქმედებასა და კვლევის შედეგებს. სწორედ ამის წყალობით, სამეცნიერო (თუ სხვა) ასპარეზზე გამოსული ყოველი ახალი მკვლევარი და მეცნიერი მოღვაწეობას წულიდან არ იწყებს და მას ველოსიპედის თუ ორთქლმავლის გამოგონება თავიდან არ უწევს (როგორც მუსიკოსი და კომპოზიტორი თავიდან არ იგონებს ნოტებს და მუსიკალურ საკრავებს). წარსული გამოცდილების გათვალისწინება უფრო თვალნათლივ ანახევებს მეცნიერს, რა არის ამა თუ იმ დარგში მიღწეული და ჯერ კიდევ რა რჩება გასაკეთებელი. სწორედ სამეცნიერო-კულტურული ტრადიციის უწყვეტობა განაპირობებს სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს და განსაზღვრავს თავად ცივილიზაციის რაობას. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ ივ. შაიშუმელაშვილის სამხედრო ტერმინების ზემოხსენებული ლექსიკონისა და თსუ-ის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონის მხედველობაში მიღება ან მოხსენიება მაინც ნამდვილად უპრიანი იქნებოდა. კოლეგებს იმასაც შევკადრებდით, რომ წინამორბედების იგნორირება და მუჯღუგუნების კერით გზის გაკაფვა მეცნიერებაში დიდად სასახელო საქმედ არ ითვლება და ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოების ღირსეულ ნაწილზე.

ლექსიკოგრაფიული ცენტრის
თანამშრომლები

მიგვაჩნია, რომ ივ. შაიშუმელაშვილის სამხედრო ტერმინების ზემოხსენებული ლექსიკონისა და თსუ-ის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონის მხედველობაში მიღება ან მოხსენიება მაინც ნამდვილად უპრიანი იქნებოდა. კოლეგებს იმასაც შევკადრებდით, რომ წინამორბედების იგნორირება და მუჯღუგუნების კერით გზის გაკაფვა მეცნიერებაში დიდად სასახელო საქმედ არ ითვლება და ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოების ღირსეულ ნაწილზე.

სურ-ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონისა, არსებობს სხვა სამხედრო-ტერმინოლოგიური ლექსიკონებიც.

3. სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი შეიძლება იყოს განმარტებითი, ორენოვანი (ინგლისურ-ქართული, რუსულ-ქართული, გერმანულ-ქართული და სხვა). ეს თვისე-

გრავია და ტერმინთშემოქმედება, ცხადია, დაუსრულებელი პროცესია, რომლის დროსაც ახალი დროის მოთხოვნებმა შეიძლება აუცილებელი გახადოს ახალი მიდგომების შემუშავება და ახალი გადაწყვეტილებების მიღება, თვით ადრე არსებული ტერმინების ახალი ტერმინებით ჩანაცვლებისა და



სამეცნიერო სემინარი — „პოლიტიკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“

სავალუტო კრიზისები საქართველოში, გაკვეთილები და პერსპექტივები

რეკონსტრუქციის არსებული რთული ვითარების მიუხედავად, ეკონომისტები ლარის კურსის გამყარებას ვარაუდობენ და ლარის კურსის ცვლილების მიზეზებსა და პროგნოზებზე ხშირად საუბრობენ. თუმცა ორივე მიმართულებით ბუნდოვანება საკმაოდ დიდია. გამომდინარე იქედან, რომ ლარის დოლართან მიმართებაში დაცემის უამრავი მიზეზი სახელდება, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რთულია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა — თუ რამ გააუფასურა ლარი? არანაკლები ბუნდოვანებაა პროგნოზების მიმართულებითაც, მიუხედავად იმისა, რომ ლარი გამყარებას განაგრძობს. კურსის პროგნოზირებას საგადასახდელო ბალანსის უახლესი სტატისტიკა სჭირდება, რომელიც ლარის კურსის ცვლილების გაანალიზების საშუალებას იძლევა. დღევანდელი სტატისტიკა კი მხოლოდ გუშინდელ სურათს ასახავს.

4 მაისს მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარზე — „პოლიტიკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ — საქართველოში სავალუტო კრიზისზე, ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაციის მიზეზებსა და პერსპექტივებზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა ეკონომიკის დოქტორმა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორმა დავით ასლანიშვილმა. მოხსენების თემა იყო: „სავალუტო კრიზისი. სავალუტო კრიზისები საქართველოში, გაკვეთილები და პერსპექტივები“, რომელსაც საფუძვლად მოხსენებლის სამეცნიერო კვლევის შედეგები დაედო.

მოცემულ კვლევაში პირველად არის აღწერილი და თავმოყრილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მომხდარი 3 სავალუტო კრიზისი, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორია. მოცემულია სავალუტო კრიზისების დაძლევისა და პრევენციის რჩევები, გამოკვლეულია მათი ბუნება და განსაკუთრებული ყურადღება კრიზისების დაძლევაში დაშვებული შეცდომის ანალიზს ეთმობა.

„ფულად-საკრედიტო სისტემაში აუცილებელია ისეთი მყარი და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა, რომელიც საიმედო ბაზისი იქნება შემდგომი წინსვლისა და განვითარებისთვის.“

საფინანსო წრეებში ამ მოდელს ძლიერი ასიმეტრია ეწოდება. ეს არის მოდელი, როდესაც საფინანსო სისტემა და მისი რგოლები სრულყოფილად ფლობენ წარსულის ინფორმაციას, აქვთ ტრანსპარენტული და უტყუარ სტატისტიკაზე დამყარებული გარემო, რაც მიმდინარე მოვლენების სწორი ანალიზისთვის ესაჭიროებათ და, რაც მთავარია, არსებობს შესაძლებლობა დაგეგმო მომავალი, მისი მოსალოდნელი საფინანსო სტრატეგია, კურსი და შედეგი. სამწუხაროდ, საქართველოში ადგილი აქვს მხოლოდ სუსტ ასიმეტრიას, ანუ გვაქვს მხოლოდ წარსულის გაანალიზების შესაძლებლობა. მიმდინარე ვითარებისა და საფინანსო პოლიტიკის არატრანსპარენტულობა, სუბიექტურობა, საფინანსო და კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობა (მისი ფაქტიური და მიზანმიმართული ლიკვიდაცია) და ბაზრის ნაცვლად რამდენიმე ჯგუფის მიერ ემოციური თუ პირადი მოსაზრებებით ფინანსური სისტემის მართვა-გამგეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიმდინარე მოვლენები გაანალიზდეს, რაც ყოველგვარ საფუძველს უსპობს სამომავლო პროგნოზის მომზადებას და მისი სავარაუდო ანარეკლის მოდელის შექმნას. ეს კი საფუძველს აცლის ნებისმიერ მცდელობას, რომ დაეკვიდრდეს რეალური სტაბილურობა და უზრუნველყოფილ იქნას მომავალზე ორიენტირებული მდგრადი, სტაბილური და მრავალწლიანი განვითარების საფინანსო სტრატეგია.

ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია მოხდეს საქართველოში წარსული საფინ-



დავით ასლანიშვილი

ანსო-სავალუტო კრიზისების შესწავლა, მათი თავმოყრა და ანალიზი, რისი მცდელობაც მოცემულია ამ ნაშრომში“, — განაცხადა დავით ასლანიშვილმა, რომელმაც კვლევის მიზნად შესაბამისობისა და კანონზომიერების დადგენა ან მისი უარყოფა დაასახელა ლარის გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ სავალუტო პოლიტიკას შორის.

„ჩვენი კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, ყველაზე უპრიანია განვიხილოთ — თუ რა ზემოქმედება ჰქონდა კრიზისულ ფაქტორებს ლარის კურსზე და ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკაზე. ამ მხრივ, ლარის მიმოქცევაში გაშვებიდან გასული 20 წლის მანძილზე ჩვენ გამოვყავით 3 მასშტაბური სავალუტო კრიზისი: პირველი სავალუტო კრიზისი (1998-1999 წ.წ.), მეორე — (2008-2009 წ.წ.) და მესამე — 2014 წლის შემოდგომიდან მოყოლებული აშშ დოლარის პოზიციების განმტკიცებისა და ამის ფონზე განვითარებული გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, რამაც ლარის ყველაზე მძიმე სავალუტო კრიზისი გამოიწვია“, — განაცხადა დავით ასლანიშვილმა.

მომხსენებელმა საინტერესოდ განიხილა ლარის პირველი სავალუტო კრიზისის მიზეზები, თუ რა გავლენა იქონია 1998-1999 წ.წ. განვითარებულმა ინდონეზიისა და რუსეთის სავალუტო კრიზისმა ქართულ ეროვნულ ვალუტაზე.

„1998-1999 წლების სავალუტო კრიზისის ყველაზე მწვავე ფაზის გადალახვა საქართველოს ეროვნულ ბანკს 100-110 მლნ აშშ დოლარი, „დაუჯდა“, ხოლო 1999 წლის განმავლობაში უკვე დევალვაცია, განცილილი კურსისა და მოკური ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, ეს ციფრი 50 მლნ დოლარს შეადგენდა. დაჯამებით ვლტულობთ სურათს, რომ 1998-1999 წლების სავალუტო კრიზისის დაძლევისას დასჭირდა 150 მლნ აშშ დოლარი. (საკუთარი გათვლები რეზერვის შემცირების, ბანკებიდან ვალუტის გადინებისა და ინტერვენციების მონაცემების ანალიზის საფუძველზე)“, — აღნიშნა დავით ასლანიშვილმა.

2003-2008 წლების სავალუტო პოლიტიკა დავით ასლანიშვილმა წლების მიხედვით განიხილა და დაახასიათა. როგორც მოხსენებელმა აღნიშნა, ამ წლებში სახეზე იყო ეკონომიკის მასშტაბისა და მოცულობის ზრდა ყველა ფულადი აგრეგატის კუთხით, რასაც თან ერთვოდა სავალუტო რეზერვების სწრაფი ტემპით ზრდა. მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ამ პერიოდში განხორციელებულ ფულადი აგრეგატების ზრდაზე, რომელმაც 2,262 მილიონი ლარი შეადგინა.

2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული

2008 წლის აგვისტომდე ლარის კურსის შემდგომი განმტკიცება, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ხელოვნურ ხასიათს ატარებდა და არ ასახავდა სავალუტო ბაზრის რეალურ კონიუნქტურას.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებს საქართველოს სავალუტო და, მთლიანობაში, ფულად-საკრედიტო სისტემა საკმაოდ რთულად შეხვდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მკვეთრად ნეგატიური გავლენა იქონია ისედაც რთულ ვითარებაში მყოფ საქართველოს საფინანსო სისტემაზე“, — განაცხადა დავით ასლანიშვილმა.

ლარის მეორე სავალუტო კრიზისი, რომელიც 2008-2009 წლებს მოიცავდა, ეკონომიკის დოქტორმა ასე დაახასიათა: „2008-2009 წლებში გატარებული სავალუტო პოლიტიკა არ შეესაბამებოდა საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების ელემენტარულ პირობებს. ომის შემდგომ ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის გამოყოფილი სავალუტო ტრანშები (ჯამში 4,5 მილიარდი აშშ დოლარი) ყოველად უყარათოდ გაიფლანგა. ამით შენარჩუნდა ის შეუსაბამო ეკონომიკური სისტემა და სამეურნეო კავშირები, რომელიც არ ესადაგება განვითარებასა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებულ ეკონომიკას. ყოველივე ამან თავისი მძიმე შედეგი გამოიღო 2014 წლის მინურულს დაწყებულ მასშტაბურ სავალუტო კრიზისში, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში“.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ლარის მესამე სავალუტო კრიზისი — ყველაზე მძიმე სავალუტო კრიზისი, როდესაც ლარმა, თავისი არსებობის მანძილზე, ყველაზე მძიმე დევალვაცია განიცადა. კრიზისის გამომწვევ მიზეზებად მოხსენებელმა შემდეგი ფაქტორები დაასახელა: გლობალურ ბაზარზე აშშ დოლარის კურსის განმტკიცება ყველა წამყვანი ვალუტის მიმართ, ლარის ფულადი აგრეგატის ზრდა, რამაც სავალუტო კრიზისის პროვოცირება და დამძიმება გამოიწვია, ასევე საერთაშორისო სავალუტო რეზერვის შემცირება, რომელსაც არ მოჰყოლია მიმოქცევაში ლარის მასის შემცირება.

დავით ასლანიშვილმა ჩატარებული კვლევის საფუძველზე რეალურად შეფასა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ეროვნული ვალუტის დევალვაციის მიზეზები, მოვლენების განვითარების სცენარიც წარმოგვიდგინა და განაცხადა: „სიტუაციის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ მყარ და საიმედო ეკონომიკურ ზრდას, თუმცა მისი მაჩვენებელი 2016 წლის იანვრის შედეგით არის მხოლოდ 0,8%, რაც საგანგაშო ციფრია (2015 წელს 2,5-2,8% იყო).“

მთლიანობაში ბიზნეს-გარემო საქართველოში საკმაოდ დამძიმებულია,

რამეთუ კომერციული ბანკების მიერ გაცემული ჯამური საკრედიტო დაბანდება შეადგენს 16,2 მილიარდი ლარს (2016 წლის თებერვალი), ხოლო კომერციული ბანკების მიერ ამ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული აქვთ 300 მლრდ ლარზე მეტი ქონება, რაც არნახული თანაფარდობაა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან შედარებით (საერთაშორისო პრაქტიკაა ერთი ორთან შეფარდება, ხოლო საქართველოში ის ერთი ოცთან შეადგენს რიგი კომერციული ბანკის შემთხვევაში). ასეთ ვითარებაში, როდესაც ფაქტიურად მთელი ბიზნესი ჩაგირავებულია კომერციულ საბანკო სისტემაში და მოზიდული რესურსი არის საკმაოდ ძვირი (15-20 ჯერ უფრო ძვირი საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებით), ეკონომიკური წინსვლის და ვითარების გაჯანსაღების პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია და არასაიმედო“, — განაცხადა დავით ასლანიშვილმა.

მოხსენების დასკვნით ნაწილში დავით ასლანიშვილმა ეროვნული ვალუტის დღევანდელი კურსის შესახებაც ისაუბრა: „მნიშვნელოვანია, როგორმე შევინარჩუნოთ არსებული ტრენდი. ჩვენი მისიაა ლარის სტაბილურობა როგორმე 2,1-2,3-ის ფარგლებში შევინარჩუნოთ. მოკლევადიან პერიოდში, ამ სტრატეგიით, ლარის მკვეთრ დევალვაციას ან გამყარებას არ უნდა ველოდოთ. ლარის კურსი ახლო მომავალში 2,1-2,3-ის ფარგლებში შენარჩუნდება.“

მან ასევე ეროვნული ვალუტის დღევანდელი ფუნქციის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ლარს, ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს დაგროვების ფუნქცია და მკვეთრად შეზღუდულია მისი გაცვლისა და ღირებულების საზომის ფუნქციები: „აუცილებელია რიგი ღონისძიებების გატარება ფულადი ერთეულის მიმართ ნდობის განმტკიცების კუთხით. მომავალი კრიზისის პრევენციის კუთხით გასატარებელია რიგი სახის ღონისძიებები, რომლებიც თავიდან აგვაცილებს სავალუტო კრიზისის წარმოშობას და განვითარებას ქვეყანაში.“

სახელმწიფო დონეზე არ არის სათანადო პროგრამა, საკადრო რესურსი და პოლიტიკა ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სავალუტო კრიზისის დაძლევის კუთხით; წლების განმავლობაში ადგილი აქვს არაკორდინირებულ მუშაობას საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის; ადგილი აქვს დაბალი დონის ასიმეტრიის არსებობას ბაზარზე და მთლიანად ეკონომიკაში (მონოპოლიები, საბაზრო ფასის არარსებობა); საკანონმდებლო დონეზეა შესაცვლელი და ცხოვრებაში გასატარებელი ალტერნატიული (არაკომერციული საბანკო) დაფინანსების წყაროები — საფონდო ბაზარი და ინფრასტრუქტურა“, — განაცხადა დავით ასლანიშვილმა, რომელმაც ეკონომიკის გაძლიერებისთვის კიდევ რამდენიმე რეკომენდაცია შემოგვთავაზა.


შეხვედრის ბოლოს მოხსენებელმა მსმენელების შეკითხვებს უპასუხა. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა მაღალი შეფასება მისცეს დავით ასლანიშვილის მოხსენებას და მას შემდგომი წარმატებები უსურვეს. აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ სურვილი გამოთქვა, რომ კვლევა ბროშურის სახით გამოიცეს. „დავითმა საკმაოდ საინტერესო კვლევა წარმოადგინა, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს. მოხსენებელმა ობიექტურად შეაფასა როგორც სავალუტო სექტორის, ასევე არასაბანკო-საფინანსო ინსტიტუტების მდგომარეობა. ეს სემინარი ერთ-ერთი გამორჩეულია სხვა სემინარებისგან“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

მოამზადა თამარ დადიანა



რეზო გოგობია: მეცნიერისა და მამულიშვილის გზა

3 როფესორ რეზო გოგობიას 28 აპრილს 80 წელი შეუსრულდა. მისივე თხოვნით, საიუბილეო თარიღი უნივერსიტეტში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო მოკრძალებულად აღინიშნა. საერთოდ, ბატონი რეზო ყოველთვის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩეოდა: ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სამშობლოსა და ქვეყნის საქმე მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც პროფესია და მეცნიერება. თუმცა, ისე მოხდა, რომ პროფესიის არჩევა შემთხვევითობამ განაპირობა: სამეგრელოს ერთერთ ულამაზეს სოფელ ფახულანში მედალით სკოლადათავრებულმა ახალგაზრდამ მხოლოდ იმიტომ აირჩია უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ფაკულტეტი, რომ მედალოსნებისთვის დაშვებული ლიმიტები ყველგან ამონურული დახვდა. ასე გახდა 1953 წელს უნივერსიტეტელი და დღემდე უნივერსიტეტელად რჩება: ამჟამად თსუ-ის უფროსი „ეკონომიკისა და ბიზნისის“ მთავარი რედაქტორია და დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედალით და ღირსების ორდენით.



რეზო გოგობია

პირველ პედაგოგებს დღემდე მადლიერებით იხსენებს, მათ შორის განსაკუთრებული სიბოძით საუბრობს ცნობილი მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ იაშვილზე, რომელმაც არა მარტო აგრარული სექტორის ეკონომიკა, არამედ ერისკაცობაც ასწავლა. „ეს იყო უდიდესი პიროვნება, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, კაცი, რომელმაც პატარა სოფელი ბიჭი მეგობრად გამიხადა და სახლშიც კი დავეყავი, რომ ესწავლებინა ჩემთვის. მისი სადოქტორო სამეცნიერო მონოგრაფია — „საქართველოს მიწის ფონდი და მისი გამოყენება“ — იმდენად ფუნდამენტური ნაშრომია, რომ მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა ლ. ზალცანმა მას „მინათსარგებლობის ფილოსოფია“ კი უწოდა. ეს ნაშრომი 1964 წელს ორ ტომად გამოიცა, რამაც საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში სათავე დაუდო მისი კადასტრის თეორიას და პრაქტიკას. ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე მინათსარგებლობის უძირითადესი პრინციპები.

ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორიის გამგე; მას შემდეგ კი, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იგი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე მიიწვიეს. „დღემდე არ ვიცი — ვინ გამიჩინა რეკომენდაცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. მას შორიდან ვიცნობდი, მაგრამ როცა უთხრეს, პაატა გუგუშვილის ნამონაფარი არისო, მაშინვე მოაწერა ხელი ბრძანებას ჩემი დანიშვნის შესახებ. პაატა გუგუშვილს ბავშვობიდან იცნობდა, რადგან ბატონი პაატა და კონსტანტინე გამსახურდია მეგობრები იყვნენ. წელნიდანახვეარი ვიშუშავე ამ თანამდებობაზე. ძალიან დიდი სამინისტრო იყო — სოფლის მეურნეობის გარდა კვებისა და ტყის მრეწველობაც აქ შემოდიოდა. ურთულესი ამოცანების წინაშე ვიდექით: ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო ეკონომიკა, რომელიც დამოუკიდებელი იყო საბჭოთა კავშირის მთლიან სტრუქტურაზე. დარგის დამოუკიდებლად არსებობა, პირველ ხანებში მაინც, თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ. დამნიშნეს სოფლის მეურნეობის რეფორმების ხელმძღვანელად. მთელი ეს აგრარეოსები, უდიდესი მეცნიერები ყველა ჩემთან იკრიბებოდნენ, მინის კანონის გარდა 15 სხვადასხვა კანონპროექტი მოვამზადე, რომლებიც შესაბამისმა კომისიებმა განიხილეს და მალევე შეფასებაც მისცეს, თუმცა მათი მიღება ვეღარ მოეხსრო. უზენაეს საბჭოში ერთერთ ბოლო სხდომაზე, სადაც კომისიამ მინის კანონს განვიხილავდით, შემოცვიდნენ შეიარაღებული ადამიანები და ულტიმატუმი წავიყენეს: 10 წუთში თუ არ დატოვებთ აქაურობას, ცოცხლები ვერ დარჩებით. ისე დაგვატოვებინეს სხდომა, რომ არაფრის ნამოღების უფლება არ მოგვცეს. კანონპროექტის თითქმის მთელი ტექსტი დაიკარგა, თუმცა ნაწილი სამინისტროში მქონდა და შემომრჩა“, — აღნიშნა რეზო გოგობიამ, რომელთანაც დიალოგი კითხვა-პასუხის რეჟიმში გავაგრძელებთ:

პლიც-ინტერვიუ

— ბატონო რეზო, დღესაც კი, დამოუკიდებლობის გამოცხადებდან 25 წლის შემდეგ, მინის საკითხი დაუღაგებელია: პრობლემურია როგორც აღრიცხვარეგისტრაცია, ისე მინის უცხოელზე გაყიდვა-არაგაყიდვის საკითხი. საინტერესოა მინის პირველ კანონპროექტში რა ძირითადი პრინციპები იყო გატარებული?

— ზვიად გამსახურდია სასოფლო-სამეურნეო მიწების სწრაფი განკერძოების წინააღმდეგი იყო. ამბობდა, რომ არ უნდა გვეჩქარა, ფეხზე დავმდგარიყავით, მოვლიერებულყავით და მხოლოდ შემდეგ, თანდათანობით გადავსულიყავით განკერძოებაზე. უცხოელებზე მინის გაყიდვის წინააღმდეგი მაშინაც ვიყავი და დღესაც ამ აზრზე ვარ. გამონაკლისის სახით დასაშვებია იჯარით გაცემა, ისიც რამდენიმე

წლით. მინის გაყიდვის მომხრეთა მთავარი არგუმენტია, რომ ამ გზით უცხოური ინვესტიცია შემოვა ქვეყანაში, მაგრამ ინვესტიცია ერთჯერადად შემოდის, შემდეგ კი ამ მიწიდან მიღებული მთელი მოგება ქვეყნის გარეთ გადის. არა და, თუ მინას მიხედვით, დაამუშავებ, ის ყოველწლიურად იძლევა ინვესტიციას. საქართველო სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობით ერთერთი ყველაზე მცირემიწიანი ქვეყანაა მსოფლიოში. ასეთ პირობებში დაუშვებელია სახელმწიფოს არ ჰქონდეს მინის ფონდი, რომელსაც საჭიროების მიხედვით გამოიყენებს. მინის საკითხებზე მუშაობისას იმ პერიოდში აქტიურად განიხილებოდა სახელმწიფო მეურნეობების შენარჩუნების იდეაც. იმ პერიოდისთვის საკმაოდ ძლიერი და რენტაბელური რამდენიმე საბჭოთა მეურნეობა არსებობდა საქართველოში. კოლმეურნეობები კი დასაშლელი იყო, მაგრამ მიმანდა, რომ თითო რაიონში თითო სახელმწიფო მეურნეობა უნდა შენარჩუნებულიყო, რომლებიც თანდათან გარდაიქმნებოდნენ ახალი ტიპის სახელმწიფო მეურნეობებად, მაგრამ მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა ამის წინააღმდეგი ნაყოფი. შემდეგ სიგუა გადადგა. მაშინ რაც მოვასწარით, ის იყო, რომ გლეხებს მიწები, რომლებიც ისედაც ჰქონდათ, დაუმტკიცდათ კერძო საკუთრებაში. ზვიადის ნასვლის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნა ნოდარ ჭითანავა. სამხედრო საბჭოს მმართველობის პერიოდში იყო და საკმაოდ რთულ დღეში ვიყავით. მე თვითონ დავეუნერე გათავისუფლების მოთხოვნით განცხადება: იმ მდგომარეობაში, როდესაც სამოქალაქო ომი მძვინვარებს და ქართველი ქართველს ესვრის, ჩემს ადგილს სახელმწიფო სტრუქტურებში ვერ ვხედავ-მეთქი. ჭითანავამ მაშინ მთხოვა, დავრჩენილიყავი 2-3 თვით, რადგან შემდეგ თვითონაც გეგმავდა ნასვლას თანამდებობიდან, თუმცა, მოგვიანებით, სრულიად მოულოდნელად და უაპელაციოდ გამათავისუფლა. როგორც შემდეგ ვაგიგე, ზვიად გამსახურდიას მთავრობაში მუშაობა „ზვიადისტობად“ ჩამეთვალა. ამის შემდეგ ისევ უნივერსიტეტს დავებრუნდი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობებზე ვმუშაობდი, უნივერსიტეტი არასდროს დამიტოვებია, ყოველთვის ვკითხულობდი ლექციებს. 1993-2005 წლებში თსუ-ის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი ვიყავი. 2004 წელს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი როინ მეტრეველი, რომელიც შესანიშნავი მეცნიერი და ხელმძღვანელი იყო, პოლიტიკური ზენოლის გამო იძულებული გახდა გადამდგარიყო. ჩვენ ვაპროტესტებდით მთავრობის მიერ უნივერსიტეტზე ზენოლას, ამის გამო, მოგვიანებით, სხვა კათედრების მსგავსად, ჩვენი კათედრიდანაც თითქმის ყველა პროფესორი გამოგვიშვეს. მე მაინც არ წავედი და დავრჩი როგორც კონტრაქტორი, მაგრამ 2009 წელს მარტო მე კი არა, ჩემი ქალიშვილი — მაია გოგობიაც გამოუშვეს უნივერსიტეტიდან. იგი საბანკო საქმის სახელმძღვანელოს ავტორი და ძალიან კარგი მეცნიერია. რამდენადაც გავარკვიე, „ზემოდან“ ხელისუფლების მითითებით მოხდა ეს. მას შემდეგ, რაც ლადო პაპავა აირჩიეს

რექტორად, საპროფესორო კონკურსში მონაწილეობა აღარ მიმიღია, ახალგაზრდებს ხელი აღარ შევეშალე, თუმცა ვარ უნივერსიტეტის უფროსი „ეკონომიკისა და ბიზნისის რედაქტორი“. საერთოდ, ეკონომიკურ უფროსისტიკაში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი მაქვს: ვიყავი სსრ კავშირის უფროსისტიკა კავშირისა და საქართველოს უფროსისტიკა ფედერაციის წევრი.

ძალიან გულდაწყვეტილი ვარ ბოლო დროს უნივერსიტეტში მომხდარი ამბების გამო. ვფიქრობ, რომ ვლადიმერ პაპავას სწორი გზით მიჰყავდა პროცესი. სტუდენტების ცალკეული ჯგუფების შევარდნა რექტორის კაბინეტში, ველური ფორმები, დაუსჯელობა და ამის გამო რექტორის გადადგომა, მეექვსეა, სასიკეთოდ წაადგეს პროცესებს. ერთს ვავიხსენებ: 1956 წლის 9 მარტის მოვლენების დროსაც კი არ შემოსულან ძალოვნები უნივერსიტეტში, მაშინდელი რექტორი აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე გადაგვეფარა სტუდენტებს და ითხოვა, არ დაესაჯათ ისინი, ვინც მიტინგებში გამოაწილებდნენ.

— ანუ, თქვენ უშუალოდ მონაწილეობდით იმ აქციებში? თითქმის არ არის დოკუმენტური მასალა შემორჩენილი, თუ რა მოხდა და რამდენი ადამიანი დაიღუპა 9 მარტს?

— 1956 წელს სტალინის გამო საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა მთელი ქართველი ერი გალანდა. ეს მიუღებელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა ჩვენთვის. საპროტესტო აქციები და სტუდენტების გამოსვლები დაიწყო 5 მარტიდან. ახლანდელი დედადები ბაღში სტალინის ძეგლი იდგა და იქ ვიყავით შეკრებილები, სხვა მოთხოვნებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაც გაჩნდა. მასხოვს, დარბევის წინა დღეს გალაკტიონ ტაბიძე დავიხსენი, იქვე, ბაღის კუთხეში იდგა. დავგვიძახა, მოდი აქ შეილებო. მივედი პოეტთან. გვიტხრა, ნადით სახლებში, თორემ მაქვს ინფორმაცია, რომ ხვალ აქ ხოცვა-ჟლეტა იქნებაო. არ დავეუჯერეთ და ბაღში დავრჩით. მეორე დღეს ისე გამწვავდა საქმე, რომ გადავწყვიტეთ ფოსტის ცენტრალური შენობა აგვედო, რომელიც მაშინ რუსთაველზე, პირველი სკოლის გვერდით მდებარეობდა. გვინდოდა, მთელი მსოფლიოსათვის გვეცნობებინა, რომ ჩვენზე ძალადობდნენ, ეს შეურაცხყოფას აყენებდნენ, რომ გვინდოდა დამოუკიდებლობა და ვითხოვდით მათგან ყურადღებას. 200-მდე სტუდენტი ნამოვედით რუსთაველის გამზირისკენ და ფოსტის შენობას რომ მივუახლოვდით, დაიწყო კიდეც სროლა. ტყვიები დაუშინეს მათაც, ვინც ბაღში, ძეგლის გარშემო იყვნენ. ყველგან გადაკეტული იყო გზები, ზოგი მტკვარში ვარდებოდა, ზოგს კლავდნენ, გაჭირვებით გამოვალნიე ძნელად, ახლანდელი თაბუკაშვილის ქუჩით. ამის შემდეგ უნივერსიტეტშიც გადაიკეტა ყველაფერი, მაგრამ მაშინდელი მილიცია უნივერსიტეტში არ შემოსულა, გარედან იცავდნენ, ისე კი არა, ახლა რომ მოდიან და რექტორს კაბინეტში უვარდებიან. რექტორი გადაეფარა სტუდენტებს და არ დააჭერინა: თუ რამე დააშავეს, ყველაფერი ჩემი ბრალიაო. ამბობენ, რომ 200-მდე ადამიანი დაიღუპა მაშინ, თუმცა ზუსტი რაოდენობა დღემდე ცნობილი არ არის.

P.S. საკუთარი პედაგოგის ნიკო იაშვილის 115 წლისთავსადმი მიძღვნილი წერილი რეზო გოგობია წერდა: „ბატონი რეზო ლექციებზე არაერთხელ შეგვახსენებდა ერთ აღმოსავლურ სიბრძნეს: „ვისაც სახლი არ აუშენებია, ხე არ დაურგავს და ბავშვი არ აღუზრდია, მას ნამდვილი ადამიანური ცხოვრება არ გაუტარებია“. ნიკო იაშვილის მსგავსად, ბატონ რეზოსაც შეეხო პოლიტიკური პერიპეტები, თუმცა, საკუთარი პედაგოგივით, მასაც თამამად შეუძლია თქვას, რომ ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით იცხოვრა. სწორედ იმიტომ, 80 წლის ასაკში პროფესორი ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მედალით დაჯილდოვდა.

მომზადდა
ლილა კურდღელაშვილი



ამერიკისმცოდნეობის XVII საერთაშორისო კონფერენცია

19-21 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის XVII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიება ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის 240-ე წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, ამერიკელი და ქართველი დიპლომატები, პროფესორები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ. კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო. მონაწილეებმა წარმოადგინეს მოხსენებები, როგორც კონფერენციის მთავარი თემის, ასევე ამერიკის ისტორიის, პოლიტიკის, განათლების, რელიგიის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, მასმედიის, სამართლის, ეკონომიკის, სოციალური საკითხების შესახებ.



კონფერენციაზე შეკრებილ ქართველ და ამერიკელ მონაწილეებს თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე მიესალმა, რომელმაც ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ყველას გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღეს! ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების 240-ე წლისთავი მართლაც მნიშვნელოვანი თარიღია და მისასალმებელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ დღეს მასშტაბურად აღნიშნავს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ყველა ამერიკული ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს: დაწყებული ამერიკული პოლიტიკური ცხოვრებიდან დამთავრებული ხელოვნებით და ყოველდღიური წეს-ჩვეულებებით. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კონფერენციაზე შეიკრიბა ამერიკით დაინტერესებულ მკვლევართა თითქმის ყველა ცენტრის და დაწესებულების წარმომადგენელი, რაც ძალიან კარგი საშუალებაა, რომ ერთმანეთს გაეუზიაროთ ის სახსრები, რომელიც ამ ცენტრებში და ინსტიტუტებში კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რათა სათანადოდ შეფასდეს - რაც მოხდა ამ სფეროში. მადლობა გვინდა გადავუხადოთ კონფერენციის ხელმძღვანელებს — ვასილ კაჭარავას

და ელენე მექმარიაშვილს, რომელთა ძალისხმევით კონფერენცია ყოველწლიურად დიდ მასშტაბებს აღწევს“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის გახსნის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა აშშ-ის სან ხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ჯონ სტაინბეკის ეროვნული ცენტრის დირექტორის, დოქტორის სიუზან შილინგლოს საჯარო ლექცია — „სტაინბეკის ამერიკა“ და აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგის პოლ კეგოს მოხსენება — „ქართველოლოგიის პიონერები ამერიკის შეერთებულ შტატებში“,

რომელსაც დიდი ინტერესი და დისკუსია მოჰყვა.

თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ ვასილ კაჭარავას თქმით, წლებგანდელი კონფერენცია მართლაც მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება და მისი მიზანია ამერიკის ისტორიის, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების, საზინაო და საგარეო პოლიტიკის, კულტურის, ფილოსოფიის, ლირებულებების შესწავლა და ცოდნის გავრცელება, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის შესწავლა, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში ამერიკის პრობლემატიკით დაინტერესებუ-

ლი პროფესორების, სტუდენტების შეკრება და მათი სამეცნიერო მუშაობის სტიმულირება, ქართველ ამერიკისმცოდნეთა მუშაობის კოორდინირება და მათი კონტაქტების გაღრმავება უცხოელ, უპირველესად, ამერიკელ კოლეგებთან. „ოკეანის გაღმა და გამოღმა იდეების გაცვლა-გამოცვლამ ბევრი საინტერესო შემატა ჩვენს პლანეტას, დღესაც ჩვენ ამ იდეალური ვცხოვრობთ და წინ მივდივართ. ამიტომ ამგვარი კონფერენციები მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის“, — აღნიშნა ვასილ კაჭარავამ.

კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა ღონისძიების ორგანიზატორმა, თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელმა, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ელენე მექმარიაშვილმა, რომელმაც კონფერენციაში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„წლებგანდელი კონფერენცია ნამდვილად წარმატებული იყო. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა კონფერენციაში მონაწილეთა რაოდენობა და სექციების რიცხვი. 200-მდე მონაწილე 13 სექციის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას. როგორც ხელმძღვანელების ანგარიშებიდან გამოჩნდა, ყველა სექციამ წარმატებულად იმუშავა. განსაკუთრებით მისასალმებელია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა კონფერენციის მსვლელობისას. საინტერესო იყო ამრგვალი მაგიდა: ილია ჭავჭავაძე და ამერიკის შეერთებული შტატები“, რომელსაც ამერიკელი პროფესორებიც დაესწრნენ და თავიანთი აღფრთოვანება გამოხატეს იმის გამო, რომ შორეულ წარსულში ქართველებისთვის ცნობილი იყო ინფორმაცია ამერიკის შესახებ. კერძოდ, ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1889 წელს წერდა „ივერიაში“ ამ ქვეყნის შესახებ და მას ზესახელმწიფოებრიობას უწინასწარმეტყველებდა.

დასკვნის სახით კი შემიძლია განვაცხადო, რომ კონფერენცია მაღალ დონეზე ჩატარდა, გაიზარდა ამერიკელ მონაწილეთა რაოდენობა და ბევრი ახალი რამ ითქვა ამ სფეროში“, — განაცხადა ელენე მექმარიაშვილმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. დასასრულს ვასილ კაჭარავამ მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცა. მისივე ინფორმაციით, კონფერენციის მასალები უახლოეს მომავალში სპეციალურ კრებულში დაიბეჭდება.

შურთხია გაროშვილი

მოსამართლე მზია თოდუას საჯარო მოხსენება თსუ-ში

სამოქალაქო დავებზე გადაწყვეტილების მიღებისას კერძო სამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობის საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარემ მზია თოდუამ საჯარო მოხსენება წაიკითხა. ლექციის მთავარი მიზანი სტუდენტებისა და კერძო სამართლით დაინტერესებული პირებისთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება გახლდათ.

„თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები უკვე მე-3 კურსიდან ეუფლებიან კაზუსის ამოხსნის იურიდიულ ხელოვნებას. ეს მნიშვნელოვანია, რათა მათ სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევები შეიძინონ და იცოდნენ, როგორ გამოიყენონ კანონის ესა თუ ის ნორმა პრაქტიკაში“, — განაცხადა მზია თოდუამ.

„მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სწავლება უფრო მეტად სტუდენტის თეორიულ მომზადებას ემყარება, აუცილებელია ყოველივე ამას საფუძვლად ედოს სამოსამართლო სამართალი ცალკეული პრეცედენტების სახით. ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გვეხმარება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სწორად აღქმამში. ერთია, წაიკითხო ვებ-გვერდზე



მზია თოდუა

(მასზე წვდომა ნებისმიერ პირს აქვს) და მეორეა, გაიგო გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლისგან, თუ რატომ იღებს იგი ამ სახით გადაწყვეტილებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკის როლი ხარვეზიანი საკანონმდებლო ნორმების განმარტებაში. მართალია, ჩვენ

არ ვართ პრეცედენტული სამართლის ქვეყანა, მაგრამ, სამოსამართლო სამართლის ფარგლებში, ცალკეული პრეცედენტების გავლენა პოზიტიურ სამართალზე დაგვეხმარება მოქმედი სამართლის სრულყოფილად შემეცნებაში. ამიტომაც ვფიქრობ, რომ შეუძლებელია კარგი თეო-

რიული ცოდნის მიღება პრაქტიკული მაგალითების გათვალისწინების გარეშე“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა მარიკა დუმბაძემ.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის საჯარო ლექცია იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა.

„ჩვენი ინსტიტუტის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საჯარო ლექციების ჩატარებაა. გაგრძელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების მოწვევა. შემოდგომაზე ვგეგმავთ საჯარო ლექციას შრომის სამართლის საკითხებზე. მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს შრომის კოდექსის ინგლისურენოვანი სიღრმისეული კომენტარის ერთ-ერთი ავტორი, იტალიელი პროფესორი ანდრეა ბორონი“, — განაცხადა თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ.

მზია თოდუამ საჯარო ლექცია თსუ-ში 16 მაისს წაიკითხა. ღონისძიებას თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

ნათო მხოლაძე



„ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“

ტსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევების ცენტრი „იდეა“ ტრადიციული სამეცნიერო კონფერენციების ციკლს აგრძელებს. ღონისძიება, რომელიც ყოველ წელს ტარდება, ამჯერად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობის საკითხების შესახებ გაიმართა. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“ 17-18 მაისს მიმდინარეობდა და მასში როგორც ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორებმა, ასევე, უცხოელმა მკვლევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

„სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა ძალიან აქტუალურია. ეს ნათლად ჩანს, თუ ბოლო საუკუნეების განმავლობაში ეკონომიკის განვითარების ისტორიას გადავხედავთ. XIX საუკუნე ინდუსტრიული რევოლუციის ამსახველია. ამ პერიოდში შრომის ნაყოფიერება მკვეთრად გაიზარდა. XX საუკუნეში უკვე შესაძლებელი გახდა კომპიუტერის მეშვეობით ეკონომიკის მართვა. XXI საუკუნეში კი თვისებრივად განსხვავებულ ეკონომიკასთან გვაქვს საქმი. ეს გახლავთ ახალ ტექნოლოგიებზე, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა. ინტელექტუალური პოტენციალი ეკონომიკის განვითარების პროცესში გადამწყვეტი ფაქტორია. შეიძლება ქვეყანა მდიდარი იყოს როგორც ადამიანური, ასევე ნატურალური რესურსებით, მაგრამ როგორც საქიროა, ისე არ ვითარდებოდეს ეკონომიკის თვალსაზრისით. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველომ ეკონომიკის განვითარება ცოდნაზე უნდა დაამყაროს და სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი მსგავსი სახისა და თემატიკის სამეცნიერო კონფერენციების გამართვა“, — განაცხადა ტსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა თეიმურაზ ბერიძემ.

კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი ტსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) გაიმართა. მეორე პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში კი ჯერ ექსკურსია მოეწყო მცხეთაში, შემდეგ კი კონფერენციის მონაწილეები „შატო მუხრანში“ გაემგზავრნენ, სადაც ღვინის ქარხნის მარნები და ვენახები დაათვალიერეს. სტუდენტებმა და კონფერენციის მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებმა ის ვენახები ნახეს, სადაც ამ დროისთვის კომპანია „ნეტაფიმ-სა-



ქართველო“ უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილ სარწყავ სისტემას ამონტაჟებს.

„მიუხედავად იმისა, რომ წყლის პრობლემა საქართველოში ნამდვილად არ არსებობს, წყლის რესურსი მაინც ეკონომიურად უნდა გამოვიყენოთ. ამის საშუალებას კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“ წვეთოვანი სარწყავი სისტემები იძლევა. სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ამ ტექნოლოგიას დიდი მომავალი აქვს. სტუდენტები კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ. წარმოდგენილი მოხსენებების საფუძველზე ვაპირებთ რეკომენდაციების გამოცემას, რომელსაც დაინტერესებულ ინსტიტუტებს გადავუგზავნი“, — აღნიშნა თეიმურაზ ბერიძემ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების თემატიკა, რომელიც, ძირითადად, საქართველო-ისრაელის მაგალითებს მოიცავდა, საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: სოფლის მეურნეობიდან ახალ ტექნოლოგიებამდე“ (მომხსენებელი: ტსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პრეზიდენტი ერიკ ლივინი); „პასუხისმგებლობის ტრადიციული მოდელი კორპორაციული პასუხისმგებლობის ნინაალმდე“ (მომხსენებელი: ისრაელის გიშოტის მენეჯმენტის კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი რობერტ ალბინი); „ღრუბლოვანი ტექნოლოგიის არსი, მოდელები თავისებურებანი და

გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“ (მომხსენებელი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ემერიტუს-პროფესორი მურთაზ მალრაძე); „ნანოტექნოლოგიების ეკონომიკური ასპექტები“ (მომხსენებელი: სტუდენტურ ცენტრ „იდეას“ წევრები მარიამ და შოთა ჯიბუტები); „მზის ენერჯეტიკის ორგანიზაცია ისრაელსა და საქართველოში“ (მომხსენებელი: საბა ბერიაშვილი, მარიამ მჭედლიძე, ტონი ძნელაძე და იულია ჯანაშვილი); „ნეტაფიმის“ ტექნოლოგიები საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სამსახურში“ (მომხსენებელი: ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“ დირექტორი აპარონ გაგულაშვილი); „განახლებადი ენერჯის მოხმარების ეკონომიკური მიზანშეწონილობა უკრაინაში“ (მომხსენებელი: უკრაინის ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტის პროფესორი ოქსანა რიბაჩენკო); „ინოვაცია და ზრდის გამოწვევები“ (მომხსენებელი: სილქნეტის სტრატეგიული პროექტების სამსახურის უფროსი ილია ენუქიშვილი); „სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის და მართვის ტრადიციული ტექნოლოგიები ბიბლიის მიხედვით“ (მომხსენებელი: ტსუ-ის ასოცირებული პროფესორი, სტუდენტურ ცენტრ „იდეას“ დირექტორი გიორგი შიხაშვილი და აუდიტორული ფირმის „ბაკაშვილი და კომპანია“ დირექტორი ნესტან აბრამიშვილი); „სამეცნიერო კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა საქართვე-

ლოსა და ისრაელში“ (მომხსენებელი: ტარიელ ზარანდია, ირაკლი სვანიძე, ლევან ტეფნაძე); „სამეცნიერო-პროფესორული ტურიზმის ორგანიზაცია“ (მომხსენებელი: ირაკლი ახალაძე, მირიან თედიაშვილი, გიორგი კალაიჯიშვილი, სალომე სალია); „ტრადიციული და თანამედროვე სამოსელის წარმოების ტექნოლოგიები საქართველოსა და ისრაელში“ (მომხსენებელი: დავით ბასილაია, თათია ბიბლაშვილი, ნიკოლოზ დვალაშვილი, ნია თოდუა, თეიმურაზ ჩუბინიძე); „სტეფის სანიტარულ-დეგო ტექნოლოგიების ორგანიზაცია საქართველოში“ (მომხსენებელი: ნიკა კახიძე, მარიამ ლაშვი, ირაკლი შენგელია, ნიკა ჩახვაშვილი); „ენერჯის სისტემების განვითარება საქართველოსა და ისრაელში“ (მომხსენებელი: შორენა გოგიძე, გურამ ბოლქვაძე, სანდრო სანიკიძე, ლევან შულაიაშვილი); „პროექტი ალაგა – ალტერნატიული ენერჯის წყარო“ (მომხსენებელი: აკაკი მალანია, ლაშა ხოხონიშვილი); „ღვინის დაყენების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები“ (მომხსენებელი: მარიამ მჭედლიშვილი, ნინო ფირალიშვილი).

„ეს უკვე მე-3 კონფერენციაა, რაც საკმაოდ ბევრს ნიშნავს. კმაყოფილი ვარ მოხსენებების ხარისხით და წარმომადგენლობით — მონაწილეები ჩამოსულები იყვნენ ისრაელიდან, უკრაინიდან. სტუდენტებმა აქტიურად თემებზე საკმაოდ კარგი პრეზენტაციები წარმოადგინეს. მათ საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე განიხილეს ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა. წელსაც ჩვენი სამეცნიერო კონფერენცია ორი ნაწილისგან შედგებოდა — თეორიული და პრაქტიკული. პრაქტიკის ფარგლებში კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“ სარწყავი სისტემები დავათვალიერეთ. ყველა მონაწილეს სპეციალური სერტიფიკატი გადაეცით“, — განაცხადა კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა.

სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზება გაუწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ისრაელის საელჩომ საქართველოში, კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“, ტსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ტსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ და აუდიტორულმა ფირმამ „ბაკაშვილი და კომპანია“.


ნათო ოპოლაკა



იური ანდრუხოვიჩი ტსუ-ის სტუდენტებს უხვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკრაინელი მწერალი იური ანდრუხოვიჩი ეწვია. შეხვედრა უკრაინისტიკის ინსტიტუტში გაიმართა, სადაც იური ანდრუხოვიჩმა სტუდენტებს და ინსტიტუტის წევრებს საკუთარი გამოცდილება და შთაბეჭდილებები გაუზიარა. უკრაინელი მწერალი საქართველოში ლიტერატურის ფესტივალის ფარგლებში იმყოფებოდა.

„იური ანდრუხოვიჩი არის თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აქტუალური მწერალი. საქართველოში მისი სახელი კარგად არის ცნობილი. როგორც კი გავიგეთ, რომ იგი ჩამოსული იყო, მაშინვე მოვიწყვეთ. იური ანდრუხოვიჩი არის უკრაინაში პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და გახლავთ ჯგუფ „ბუ-ბა-ბუ“-ს ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი შე-



მოქმედება ატარებს იმ პრინციპებს, რაც პოსტმოდერნიზმს ახასიათებს“, — აღნიშნა უკრაინისტიკის ინსტიტუტის უფროსმა სპეციალისტმა სოფიო ჩხატარაშვილმა.

იური ანდრუხოვიჩმა სტუდენტებთან შეხვედრისას, ძირითადად, ქართული კინემატოგრაფიისა და ლიტერატურის შესახებ ისაუბრა. განსაკუთრებით აღნიშნა თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. ასევე, განაცხადა, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე მეტად ქართულ ლიტერატურას იცნობს.

„ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როდესაც გავიგე უკრაინისტიკის ინსტიტუტის არსებობის შესახებ. ვფიქრობ, სტუდენტებთან შეხვედრამ კარგად ჩაიარა. დიდი ხანია ვოცნებობდი საქართველოში ჩამოსვლაზე. ლიტერატურის ფესტივალის ფარგლებში ამის შესაძლებლობა მომეცა. ფესტივალის ნამდვილად გამორჩეული გახლ-

დათ, ბევრგან ვარ ნამყოფი, თუმცა ასეთი სიმყუდროვე და კომფორტი არასდროს ყოფილა. ძალიან პოზიტიური ატმოსფეროა. ბევრი ქართველი ავტორის შემოქმედებას ვიცნობ. ბოლოს დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ ნავიკითხე, ძალიან მომწონს ლაშა ბულაძის „ლიტერატურული ექსპრესი“, რომლის გერმანული თარგმანიც ახლა ავტორისგან საჩუქრად მივიღე. 80-იან წლებში ნავიკითხე „დათა თუთაშხია“, ასევე გამოვარჩევიდი ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრსა“ და ზაზა ბურჭულაძის „ადიბასს“, რომლის გერმანულენოვანი თარგმანის პრეზენტაციაშიც მივიღე მონაწილეობა“, — აღნიშნა იური ანდრუხოვიჩმა.

ცნობილი უკრაინელი მწერალი იური ანდრუხოვიჩი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 20 მაისს ეწვია.

ნათო ოპოლაკა



ბერძნული დრამა – ევროპული კულტურის საფუძველი

„ვაშლი რომ არ ჩამოვარდნილიყო, ნიუტონის კანონი იმ დღეს არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ ამ კანონს შემდგომში მაინც აღმოაჩენდნენ, ხოლო ჰომეროსს ბავშვობაში რამე რომ დამართოდა, „ილიადას“ და „ოდისეას“ ვერავინ დაგვიწერდა! სრულიად სერიოზულად გეუბნები: არაფერი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ბერძენი ხალხი და ბერძნული კულტურა“, – ამის შესახებ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტებსა და სტუდენტებს ნამდვილად არ სჭირდებათ, რადგან კარგადაც იციან, რომ თანამედროვე ევროპული ფასეულობები სწორედ ელინებიდან იღებს სათავეს.

საჯარო ლექცია თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ინიციატივით გაიმართა „SCIENTIA POTENTIA EST“ ლექციათა ციკლის ფარგლებში. ლევან ბერძენიშვილი, რომელიც ბერძნული დრამის ერთერთი საუკეთესო მცოდნე და მთარგმნელია, ამჯერად ნამდვილად განსაკუთრებულ განწყობაზე იყო: „სახლში ვარ! ყველას მოგესვენებათ, რას ნიშნავს შინ დაბრუნება. ძალიან სერიოზული ამბავია, ყველაზე ფუნდამენტური წინადადება ბერძნულ ლიტერატურაში: სახლში დაბრუნება სჯობია უკვდავებას!“ – ოდისეის ეს სენტენცია ამჯერად იმაში გამოიხატა, რომ ბერძენიშვილი მშობლიურ კათედრაზე იმ ადამიანებს შორის კითხულობდა ლექციას, რომლებიც მასავით არიან შეყვარებული ჰომეროსის სამყაროზე: „სანამღავია ეს ბერძნული ამბავი. მინდა თუ არა, ეგრევე ვიწყებ ხოლმე ჰომეროსზე ლაპარაკს და მერე ვერ მაჩერებენ, იმიტომ, რომ ბევრი ვიცი...“ – ძნელია არ დაეთანხმო ლევან ბერძენიშვილს როგორც ბერძნულ ამბავში, ისე თამამ გულახდილობაში! ლექცია 2 საათს გაგრძელდა და, გვიანი საღამოს მიუხედავად, იგი იმდენ ცოცხალ და მოულოდნელ თემას შეეხო, რომ არავის მოუწყენია.

„ბერძენებმა შექმნეს თეატრი – თქვენ მეტყვით, ეს ბერძენების გარეშე იქნებოდა, რადგან ადამიანი მონოდებილია რაღაცას და ვიღაცას მიბადოს, დაიხ! მაგრამ გადავხედოთ მსოფლიო თეატრებს: ჩინური თეატრისაა ხმაბლივითი, მაღალი დონის მიბაძვა ცხოველების და ფრინველების ხმებისა, იქაური ბალეტი, ოპერა აბსოლუტურად სხვა რამაა, უბრალოდ ტერმინებია ევროპული. იგი არ არის სოციალური მოვლენა, არ არის ხალხისთვის, თეატრი კი მაყურებლის გარეშე არ არსებობს. როგორი თეატრი ჰქონდათ ბერძენებს? 17 000 კაცი იჯდა ათენის დიონისეს თეატრში. თუ ვიანგარიშებთ ათენის მოსახლეობას, გამოდის, წარმოადგენს ესწრებოდა მთელი თავისუფალი მოსახლეობა და, ამ გაგებთ, ბერძნული თეატრი უფრო დღევანდელი სტადიონის წინაპარია, ვიდრე თანამედროვე თეატრისა. ათენის თეატრს კი მნიშვნელობას ანიჭებს ის, რომ გენიალური ავტორების, მსახიობების, დადგმის გარდა, მას გენიალური მაყურებელიც ჰყავდა, რომელსაც ევრიპიდეს „სპარსელების“ ყურება და საკუთარი მტრის ბედისწერის გამოტირილი შეეძლო! ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში ვიღაცამ დაგვიდგას პიესა, რომლის ყურებისას ცხარე ცრემლებს დავდვრით იმის გამო, რომ ჩვენთან რომელიღაც ბრძოლისას მარცხი განიცადეს აფხაზებმა. წარმოიდგინეთ, რომ რუსი გენერალი შევაქოთ ქართულ პიესაში და იმ წუთას მიხვდებით, რომ 17 000 გენიოსი იჯდა ძველი ათენის თეატრში. თუმცა, იმის აღიარება, რომ ისინი დღევანდელ ადამიანებზე უკეთესები იყვნენ, ძალიან ძნელია!



უცოდველები ან უნაკლონი, უბრალოდ, ისინი სხვა ყველა ხალხზე მეტად თავისუფლები იყვნენ და, ალბათ, ამიტომაც სჯობდნენ ყველას. ევრიპიდეს შეიძლოა ქალთა უფლებებზე მედეას სახელით ელაპარაკა. მაყურებელს კი უნარი ჰქონდა მისი გმირისგან, რომელსაც ავტორმა ცოდვები კიდევ უფრო დაუმძიმა და მედეას მიერ მამისა და ძმის განრევას შვილების მკვლელობაც დაუმატა, მოესმინა სიტუაციის მსხვერპლი ქალის აღსარება და დაფიქრებულიყო იმაზე, რატომ გახდა მედეა მკვლელი. როგორც ჩანს, ბერძენი მაყურებლის გახსნილობა და მზაობა — მოესმინა ნებისმიერი არგუმენტირებული აზრი, იყო ის იმპულსი, რაც ბერძენ ავტორებს საოცარ სითამამეს აძლევდა აზროვნებაში.

„არსებობს მოსაზრება, რომ ძველი ბერძენი დრამატურგი მასწავლებელიცაა. რას ნიშნავს ეს? რა ტრადიციაა

მაყურებელი ისე განიცდიდა, როგორც საკუთარ თავზე. ამიტომ, ანტიგონეს საყვედურიც მოქალაქეების მისამართით გამოთქმული საყვედურია მათი დუმილისა და იმ თანხმობის გამო, როდესაც უდანაშაულო პატარა გოგო კრეონტმა დასაჯა. დრამის ავტორი, რომელიც მასწავლებელიც იყო ამავე დროს, მაყურებელს, მოქალაქეებს ეუბნება, რომ ამაში ისიც დამნაშავეა! ანტიგონეს ამ აღსარებამ ბევრი დააბნია, მათ შორის ფრიდრიხ ნიცშეც, რომელმაც გამოაცხადა, სოფოკლე ვერ გაერკვაო. არა და, სოფოკლემ რა თქვა: ადამიანზე მაღლა არაფერი დგას და ერთი კაცის თუ არ არის ქვეყანა, ის ქვეყანა არ არისო!“.

ძველ ბერძნულ დრამებში ნამოჭრილ თემებს უკვე 2500 წელია გამუდმებულად უბრუნდებიან ევროპის და მსოფლიოს ყველაზე დიდი მოაზროვნე-



ბერძნული დრამა მართლაც განუმეორებელი მოვლენაა: პიესები უშუალოდ იმ მოვლენებს ეხებოდა, რომლებიც დრამის დაწერის მომენტში ვითარდებოდა. თუმცა, დღევანდელი პოლიტიკური დებატებისა და თოქ-შოუებისგან განსხვავებით, მათი ავტორები სრულიად თავისუფალნი იყვნენ ნებისმიერი კონიუნქტურისგან: „წარმოიდგინეთ, დიონისეს თეატრში დღისით, ღია ცის ქვეშ, 17 000 მაყურებლის წინაშე გამოდის კომედიის გუნდი და თავისი თანამოქალაქეების და ატიკის დედაქალაქის სტუმრების წინაშე დაუნდობლად ესხმის თავს სახელმწიფოს მეთაურს, უკანასკნელი სიტყვებით მოხსენიებს დიდ-დიდი თანამდებობის პირებს, სასტიკად აკრიტიკებს სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, დასცინის ეროვნულ ტრადიციებს, აყალბებს სახელოვან ისტორიას და ა.შ., სახელმწიფოს მეთაურები და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოღვაწეები კი იქვე, პირველ რიგში მსხდომნი, სიცილითა და ტამით ეგებებიან თავიანთ საქვეყნო ლანძღვა-გინებასა და დამცირებას“. ასეთია ის არნახული თავისუფლება, რომელიც არც მანამდე და არც მას შემდეგ არც ერთ სახელმწიფოს არ მიუნიჭებია რომელიმე ხელოვანისთვის და, მით უმეტეს, ჟანრისთვის“, — ასეთი ამბები ხდებოდა ათენის ცის ქვეშ 2400 წლის წინ „კომედიის მამის“ არისტოფანეს პერიოდში და ეს კი სიტყვისა და გამოხატვის ისეთი თავისუფლებაა, რომლისკენაც ევროპული ცივილიზაცია და ჩვენც ჯერ კიდევ მივინსწავლით.

ბერძენები არაფრით იყვნენ სხვებზე

ის, რომელიც თვლის, რომ ადამიანები თეატრში დადიან არა სიამოვნების მიხედვად, არამედ რაღაცის სასწავლად? სოფოკლეს უდიდეს ტრაგედიაში ანტიგონე ამბობს: მე რაც ვქენი, ამას არ ჩავიდნენ, ის რომ ჩემი ქმარი ან შვილი ყოფილიყო, იმიტომ, რომ თუ ქმარს მომიკლავდნენ, ახალს გავყვებოდი, თუ შვილს მომიკლავდნენ, ახალს გავაჩენდი, მაგრამ ის იყო ჩემი ძმა. ამის უკან რა დგას და როგორი ოჯახური კავშირებია ოიდაპოსის ოჯახში, ცალკე თემაა, მაგრამ ასე აყენებს საკითხს ანტიგონე. იგი თავს სწირავს ძმისთვის, რადგან ძმას ვერ აირჩევს და ვერ შეცვლის. მეორე ქალი კი, ჩვენთვის ასე ნაცნობი მედეა, მიიჩნევს, რომ ქმარი სჯობია ძმას და მამას, რომ სისხლით ნათესავზე მაღლა მის მიერ არჩეული ადამიანი დგას. ჩვენს წინაშე არა მარტო ორი სხვადასხვა ავტორი და სამყარო, არამედ ორი განსხვავებული მსოფლმხედველობა, ჩვენს წინაშეა ყველაზე დიდი და რთული საკითხი, რადგან არ არსებობს ადამიანისთვის ნათესაობის საკითხებზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. ანტიგონე, გაუთხოვარი გოგო, ჩვენს საყვედურს გვეუბნება: იგი ამბობს, მე ვკვდები აბსოლუტურად უდანაშაულო, ყველაფრის უნახავი და როდესაც ამას ვამბობ ქმარსა და შვილზე, შეიძლება მემუღებოთ კიდევ, რადგან მე ეს არ ვიცი, რადგან გათხოვილი არ ვყოფილვარ და ისინი არ მყოლია! არ შეიძლება ამას 17 000 მაყურებელი არ შეეძრა! ანტიგონეს ეს სიტყვები მიმართულია ქოროსადმი (გუნდისადმი), რომელსაც ათენელი

ბი, ბერძნული კვალი დღეს კულტურაში და ყოფაში ყველგანაა, თუმცა, ხშირად არც ვიცი, რომ ეს ყველაფერი სწორედ არისტოფანესგან, ევრიპიდესგან, სოფოკლესგან, ესქილესგან იღებს სათავეს. საყვარელი კომედიოგრაფის არისტოფანეს მსგავსად, საჯარო გამოსვლებისას ლევან ბერძენიშვილიც მიმართავს ტრადიციულ კლიშეთა გაახალგაზრდავება-გაცოცხლებას, იშვიათად, ვულგარულ მეტაფორასაც; ნებისმიერ თეზას, დღევანდელიდან აღებული ნაცნობი მაგალითებით უხვად ამდიდრებს: ხან პოლიტიკური ცხოვრების რომელიმე ელემენტით, ხან ლიტერატურულიდან, ან ქალაქური ცხოვრებიდან მოხმობილი ეპიზოდებით. ამას იმდენად მსუბუქად და, რაც მთავარია, სარკაზმის ისეთი დოზით აკეთებს, რომ მისი ნებისმიერი გამოსვლა, თუნდაც სატელევიზიო კომენტარი, ფაქტობრივად, მცირე კომედიაა, რომელიც აუცილებლად შთაბეჭდავია და აზრთა სხვადასხვაობის, მონონების ან გალიზიანების გამომწვევი. რჩება შთაბეჭდილება, რომ ლევან ბერძენიშვილი სცენაზეა და იქიდან ამომწვევს ჩვენი მაყურებლისა და მსმენელის პოლიტიკურ სიმნიშვნეს; აკვირდება, რამდენად მიუახლოვდა დღევანდელი ქართველი მაყურებელი დიონისეს თეატრში შეკრებილ ძველ ბერძენ მაყურებელს, რომელიც, მისივე სიტყვებით, ყველაზე გენიალური და მოქალაქეობრივად ყველაზე შეგნებული მაყურებელი იყო კაცობრიობის მთელს ისტორიაში.

მომზადდა ლელა კურდღელაშვილმა



ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მჭიდრო თანამშრომლობა იტალიასთან

ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტის „ჟან მონეს“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტისა და მილან-ბიკოკას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, რომში, იტალიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის აღდგომის დარბაზში გაიმართა საქართველოს შრომის კოდექსის ინგლისურენოვანი კომენტარის წარდგენა, რომელიც ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტის „ჟან მონეს“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტისა და ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, ქ. რომში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი ბურდული და პროექტის კოორდინატორი, ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, კერძო სამართლის მიმართულების ასისტენტი გიორგი ამირანაშვილი.

პრეზენტაციის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტის პროფესორმა, იტალიის პარლამენტის დეპუტატმა და იტალიის კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული საქმიანობისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილემ ანტიმო ცეზარომ, ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტის „ჟან მონეს“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორმა, პროფესორმა ჟან მარია პიჩინელიმ, ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი ბურდულმა, მილან-ბიკოკას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა და ნიგნის ერთ-ერთმა თანაავტორმა ტიცინა ვეტორიმ



და ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტის ჟან მონეს სახელობის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის შედარებითი კერძო სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ასისტენტი პროფესორმა ანდრეა ბორონიმ.

„იტალიელ კოლეგებთან თანამშრომლობით შექმნილი ეს ნაშრომი ქართული მკითხველისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო წყაროს წარმოადგენს, რამდენადაც, ამ გამოცემების დახმარებით, მას კოდექსის ცალკეული დებულების არსისა და პრაქტიკაში გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია. პუბლიკაცია მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც აკადემიური წრის, ისე პრაქტიკოსი იურისტების, სტუდენტებისა და, ზოგადად, სამართლის ამ დარგით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი უკვე ფართოდ გამოიყენება საქართველოს

რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში შრომის სამართლის კურსის სწავლების პროცესში. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ, მკითხველთა წრის გაფართოების მიზნით, სულ მალე გამოიცემა მისი ქართულენოვანი თარგმანი. იმედია, ამ წიგნში არსებული ინფორმაცია და წინადადებები ხელს შეუწყობს, ახალ შრომის კოდექსთან დაკავშირებით, 2013 წლის რეფორმის შემდგომ დაწყებული სამეცნიერო დისკუსიის გაგრძელებასა და მისი დებულებების პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგვას. ცხადია, აგრეთვე, ვისურვებდი, რომ ამ წიგნმა შეძლოს თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა საქართველოში შრომის სამართლის რეფორმის სათანადოდ დაგვირგვინების საქმეში. გარდა ამისა, ვიმედოვნებ, რომ პროფესორ ანდრეა ბორონისა და გიორგი ამირანაშვილის მორიგი პროექტი, რომელიც ქართული სადაზღვევო სამართლის სფეროში მსგავსი ნაშრომის

შექმნას ისახავს მიზნად, მისი წინამორბედის ბედს გაიზიარებს და ასეთივე წარმატებით განხორციელდება“, — განაცხადა ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი ბურდულმა.

აღსანიშნავია, რომ ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტსა და ტსუ-ს შორის ფორმდება ჩარჩო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, უკვე დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. კერძოდ: შეთანხმდა კონკრეტული ნაბიჯები მორიგი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ანალოგიური ნაშრომის შექმნას ქართული სადაზღვევო სამართლის სფეროში (ამ თვალსაზრისით, იგეგმება ჩარჩო ხელშეკრულების დამატებითი პროტოკოლის გაფორმება). გადამწყდა, დაიგეგმოს და ჩატარდეს ქართული კულტურის წარმოჩენასთან დაკავშირებული ღონისძიებები იტალიაში, განხორციელდეს კვლევა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარებისა და დამუშავების საკითხზე, დამყარდეს თანამშრომლობა საქართველოსა და იტალიის ადვოკატთა ასოციაციებს შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, საქართველოში შეიქმნას შედარებითი სამართლის ცენტრი, რომელიც, სხვა სფეროებთან ერთად, ფოკუსირებული იქნება შრომის სამართლის განვითარების დინამიკის კვლევაზე.

იტალიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის აღდგომის დარბაზში საქართველოს შრომის კოდექსის ინგლისურენოვანი კომენტარის წარდგენა 2016 წლის 30 მარტს გაიმართა.

გიორგი ამირანაშვილი,
ნატო ოზოლავა

იასუჰირო იოცუომოტო სტუმრად ტსუ-ში

20 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ტსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულებისა და იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით, ცნობილი იაპონელი პოეტი იასუჰირო იოცუომოტო ეწვია, რომელმაც ქართველ სტუდენტებს თანამედროვე იაპონური პოეზიის თავისებურებებზე ესაუბრა.

„კოსმოპოლისტიური აზროვნების მქონე შინტოისტი ბერი ვარ, სარიტუალო ლოცვას ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე აღვაჯღენ, შესაწირსაც უცხოურ ვალუტაზე ვიღებ და ჩემი ოცნებაა მსოფლიოს ფუნდამენტალისტებთან სუმოს ორთაბრძოლის გამართვა ტალახში. გლობალიზმის წინ აღმდგარი ფარული ფოტოგრაფი ვარ... მინისძვრაზე მეოცნებე პროგნოზისტი ვარ.... თუმცა უამრავი სახე მაქვს, მაინც მარტო ვარ საკუთარ თავთან...“, — ასეთია ცნობილი იაპონელი პოეტის, პროზაიკოსის, მთარგმნელისა და ლიტერატურული კრიტიკოსის ხედვა თანამედროვე სამყაროზე. ალბათ, სწორედ ამიტომაც მისი შემოქმედება ნათარგმნი მსოფლიოს მრავალ ენაზე. იგი არაერთი ლიტერატურული კონკურსის ლაურეატია. მისი პირველი პოეტური კრებული — „მოცინარი ხოჭო“ — 1991 წელს, ხოლო პირველი რომანი — „ყალბი პოეტი“ — 2015 წელს გამოიცა. გარდა ამისა, იასუჰირო იოცუომოტო იაპონურად თარგმნის ისეთ ცნობილ კლასიკურ ავტორებს, როგორებიცაა ლი პო, დანტე, რილკე, ემილი

დიკინსონი და სხვა. მისი შემოქმედებიდან 9 ლექსი უკვე ქართული საზოგადოებისთვისაც ცნობილია, რომლებიც ხათუნა ბარქაიამ თარგმნა. იგი ამბობს, რომ წერს ყოველდღიურ ყოფაზე, იმაზე, რაც ადამიანებს აწუხებთ და, ალბათ, ამიტომაც არის ასეთი აქტუალური მისი პოეზია. იგი საქართველოს თბილისის მეორე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ფარგლებში ეწვია და არაერთ შეხვედრასა და ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ტსუ-ში იაპონელი პოეტის ვიზიტის მნიშვნელობაზე ტსუ-ის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა

გელაშვილმაც ისაუბრა: „ტსუ-ში ეს დარგი შედარებით ახალგაზრდაა, ამიტომაც ჩვენი მიზანია, ახალგაზრდები დავანტერესოთ ამ მიმართულებით და უფრო მეტი ინფორმაცია მივანოდოთ ამ ქვეყნების შესახებ. იაპონური პოეზია ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია, იასუჰირო იოცუომოტო კი თანამედროვე და ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. იგი ძალიან ბევრ მოგზაურობს და დიდი გამოცდილება დაუგროვდა, რომელსაც დღეს იგი ჩვენ სტუდენტებსაც გაუზიარებს“, — აღნიშნა ნანა გელაშვილმა.

„საქართველოში იაპონიის საელჩოს მოწვევით სხვადასხვა კულტურულ

ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედი. საქართველომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მიხარია, რომ თქვენს უნივერსიტეტში მაღალ დონეზე მიმდინარეობს იაპონური ენის, მისი კულტურისა და ისტორიის სწავლება, ამიტომ ქართველ ახალგაზრდებთან ჩემი შეხვედრა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება. იმედი მაქვს, საქართველოსთან ჩემი მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება“, — გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება იასუჰირო იოცუომოტომ.

შურისია ბაროშვილი





პროექტის „მწვანე ყუთი“ პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის „მწვანე ყუთი“ პრეზენტაცია გაიმართა.

ლონისძიებს თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, სტუდენტები, მონვეული სტუმრები დაესწრნენ.

„პროექტი „მწვანე ყუთი“ საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ გამოყენებული ქაღალდები მეორადი გადამამუშავებისთვის. პირველ ეტაპზე ერთი ყუთი უკვე განთავსდა უნივერსიტეტის მე-7 კორპუსში. დღეს, პირველ კორპუსშიც დაიდგა და ეტაპობრივად განთავსდება უნივერსიტეტის სხვა კორპუსებშიც. ვფიქრობთ, რომ ასეთი აქცია ჩვენი გარემოს გაჯანსაღებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამით დავზოგავთ ხეებს და, რაც მთავარია, ჩამოვყალიბებთ გარკვეულ კულტურულ დამოკიდებულებას ჩვენი გარემოს მიმართ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.

„უნივერსიტეტის სტუდენტებს გაუჩნდათ ინიციატივა, რომ შეადგოთ მაკულატურა, შემდეგ გადაამუშაონ ან გაცვალონ ნივნებზე და გაამდიდრონ საბიბლიოთეკო ფონდი. სწორედ ამიტომ, ჩვენთან თანამშრომლობით შეიქმნა მწვა-



ნე ყუთები. იმედი გვაქვს, რომ ეს პროცესი არის მხოლოდ დასაწყისი, ჩვენ ამ პროცესს წავახალისებთ მომავალშიც“, — აღნიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა.

პროექტი ხორციელდება თსუ-ის ახალგაზრდული ცენტრის ეკოლოგიისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ქვეკლუბის სტუდენტების ინიციატივით. პროექტის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I და VII კორპუსში გამოიყო ადგილე-

ბი, სადაც განთავსდა კონტეინერები — „მწვანე ყუთი“, რომელშიც მოგროვდება ქაღალდის ნარჩენები. შეგროვებული მაკულატურა გადაიცელება ნივნებში, რომლითაც გამდიდრდება თსუ-ის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან არსებული კაბინეტური ბიბლიოთეკა. მომდევნო ეტაპზე გაფართოვდება მაკულატურის მოგროვების საუნივერსიტეტო არეალი და იგეგმება მაკულატურის გადაცემა ნერგებში, რაც უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საჯარო სივრცის გამწვანებას.

პროექტში ჩართულები არიან თსუ-ის ახალგაზრდული ცენტრის აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულენოვანი სტუდენტები.

„რამდენიმე თვის წინ პირადად გადავანყადე ეკო პრობლემებს და სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე ჩემს მეგობრებთან ერთად შემექმნა ჯგუფი და გვებრძოლა ეკოლოგიური პრობლემების წინააღმდეგ“, — განაცხადა თსუ-ის ახალგაზრდული ცენტრის სტუდენტმა მარსელ მანასიანმა.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში არსებული ქაღალდის ნარჩენების რაციონალურად მართვასა და გარემოსდაცვითი თვითშეგნების ამაღლებას, როგორც სტუდენტებში, ასევე უნივერსიტეტის პერსონალში.

ლონისძიება იმართება „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამა) და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR).



გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკოსები“



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკოსები“, რომელსაც თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, სტუდენტები, პროფესორები, მონვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დარეჯან თვალთვაძის განცხადებით, „ნარმოდგენილი ექსპოზიცია პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი ისტორიის ერთგვარი გაცოცხლებაა. ნახატებზე კარგადაა „დაჭერილი“ იმდროინდელი პოლიტიკოსების ხასიათი, რომელიც ცნობილმა მხატვრებმა ოსტატურად მოახერხეს და ჩანახატებში დააფიქსირეს. ჩვენმა ახალგაზრდა მკვლევრებმა მათ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავებში მიაგნეს. ამ კუთხით დანახული პოლიტიკოსები, ვფიქრობ, გაცილებით უფრო დასამახსოვრებელი ფიგურები გახდებიან დამთვალეობისთვის“.

„ჩვენთვის 1918-1921 წლების ეპოქა

თავისუფლების ეპოქაა. თავისუფლება ხელოვანთა თავისუფლებასაც გულისხმობს. გამოფენაზე ნარმოდგენილია ქართველ ხელოვანთა ნამუშევრები, რომელიც იმდროინდელ პერიოდიკაში ვრცელდებოდა და რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

გამოფენაზე ნარმოდგენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და დამოუკიდებელ კრებაში შემავალი ოთხი ძირითადი პარტიის ლიდერების შესახებ შესრულებული ჩანახატები.

მასალები მოძიებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული პერიოდული გამოცემებიდან. ჩანახატები შესრულებულია შალვა ქიქოძის, ოსკარ შმერლინგისა და მიხეილ ჭიაურელის მიერ.

კვირეულის ფარგლებში თსუ-ში 30 მაისს გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.): პიროვნებები, მოვლენები, რეფორმები, მიღწევები და შეცდომები“.



პიტრ ივარსისადმი მიძღვნილი სტუდენტ-არქეოლოგთა ვარძიის VII საერთაშორისო კონფერენცია



ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ოქსფორდის, ვარშავის, შეფილდის, ინსბრუკის, ედინბურგის, ბოლონიის, იენის, პენსილვანიის, ლოდის და ტორუნის უნივერსიტეტების მეცნიერთა და სტუდენტთა მონაწილეობით ვარძიის VIII საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების არქეოლოგები ქართველ კოლეგებთან ერთად გრაკლიანის, ურარტუს, იერუსალიმის, პეტრას თუ სხვა უნიკალურ აღმოჩენებსა და ორიგინალურ გამოკვლევებზე რამდენიმე დღის განმავლობაში იმსჯელებენ.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე მერვედ ატარებს საერთაშორისო ინდივიდუალური გამოკვლევების შესაფასებელ კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკისა და ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტების წარმომადგენლები. ამ კონფერენციის მიზანი სრულიად განსხვავებულია, რადგან ქართველ სტუდენტებსა და მომავალ არქეოლოგებს საშუალება აქვთ მათ

მეორე ინდივიდუალურად წარმოებულ კვლევის შედეგები საერთაშორისო დონეზე იყოს განხილული“, — აღნიშნა თსუ-ის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ვახტანგ ლიჩქელმა.


სამუშაო სესიას ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების პროფესორი მაიკლ ვიკერსი უძღვება. მისი თქმით, „ეს არის მაღალი სტანდარტის კონფერენცია, რომელიც წლიდან წლამდე იხვეწება და მონაწილეთა რაოდენობა იზრდება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან. კონფერენციის მიზანია, ქართველ პერსპექტიულ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაცნონ სხვა არქეოლოგთა მოსაზრებებს და თავიანთი კვლევები წარმოადგინონ უცხოელი კოლეგების წინაშე“.

სტუდენტ-არქეოლოგთა VIII საერთაშორისო კონფერენცია გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგის, სტრატეგრაფიული მეთოდის ფუძემდებლის პიტრ ივარსის ხსოვნას მიეძღვნა. კონფერენციის დასასრულს სტუდენტებს კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატები გადაეცათ.



ახალი წიგნი თაროზე - „ქართული ჰაგიოგრაფია“

24 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტისა და ნიგნის გამოცემლობებთან: „ნიგნები ბათუმში“ და „ქარჩხადის გამომცემლობა“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა, რომლის შემდეგ თსუ-ის ბიბლიოთეკაში „ქარჩხადის გამომცემლობის“ ახალი წიგნის — „ქართული ჰაგიოგრაფია“ — პრეზენტაცია გაიმართა.



ადამიანები არიან, რომლებსაც ხშირად უჭირთ ძველი ქართული დანერგილი ტექსტების გაგება. „ტიქსტებზე მუშაობისას „ბენჯის ხიდზე გავიარეთ“, რადგან რთული იყო ძველქართული ტექსტების თანამედროვე ენაზე ისე თარგმნა, რომ მთელი მხატვრულობა და ფაბულა მაქსიმალურად შეგვენარჩუნებინა. „ქარჩხადის გამომცემლობას“ ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს. ამ პროექტის ფარგლებში უკვე გამოვეცით სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები და „ვფიხისტყაოსანი“, ამ მიმართულებით მომავალშიც ვგეგმავთ მუშაობას“, — განაცხადა გია ქარჩხაძემ.

ნიგნის — „ქართული ჰაგიოგრაფია“ — რედაქტორები არიან ენათმეცნიერი ლეილა ბერიაშვილი და ფილოლოგი ლევან გიგინეიშვილი. „ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამ ტექსტების გაცოცხლება და იმ კატეგორიების გაცნობა, რომლითაც ისინი აზროვნებდნენ, რადგან დღეს სხვა სამყაროში ვცხოვრობთ და იმ ეპოქის ენა კი ხშირად ძნელი გასაგებია მკითხველისთვის. აქედან გამომდინარე, ეს წიგნი იქნება ერთგვარი გზამკვლევი თანამედროვე აუდიტორიისთვის“, — განაცხადა ლევან გიგინეიშვილმა.

შურთსია ბაროშვილი


ნიგნში წარმოდგენილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის — „შუშანიკის წამების“, „აბოს წამების“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე — ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას. ძველ ქართულ ტექსტებს წინ უძღვის ფილოლოგი ლევან გიგინეიშვილის შესავალი წერილები, სადაც პოპულარული ენით მოწოდებულია ის ძირითადი ისტორიული განმარტებები, რომელთა გათვალისწინებითაც გაცილებით იოლად აღსაქმელია ჰაგიოგრაფიის ნიმუშები. როგორც ნიგნის პრეზენტაციაზე აღინიშნა, ასეთი გამოცემის მიზანია, ერთი მხრივ, დაეხმაროს სასწავლო პროცესს, მეორე მხრივ კი — საქართ-

ველოს ისტორიით, კულტურითა და ლიტერატურით დაინტერესებულ მრავალ ადამიანს, რომელთაც, დღეს, ძველი ქართული ნაკლებად ესმით და გზა გაეხსნას ამ უნიკალური ნყაროების აღსაქმელად. ჰაგიოგრაფიული ტექსტები, ტრადიციულად, დიდი შემოქმედებით იბეჭდებოდა, განსაკუთრებით სასწავლო გამოცემებში, ამ ნიგნში კი თითქმის ვრცლად არის წარმოდგენილი „აბოს წამების“, „გრიგოლ ხანძთელის

ცხოვრების“ ტექსტები, ხოლო „შუშანიკის წამება“ პრაქტიკულად სრული სახითაა. „ქარჩხადის გამომცემლობის“ დირექტორის გია ქარჩხაძის თქმით, ნიგნი გამოიცა პროექტის — „ქართული კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებისათვის“ — ფარგლებში, რომლის ძირითადი სამიზნე სკოლის მოსწავლეები, აბიტურიენტები და ქართული ლიტერატურით დაინტერესებული ის

ქართული პოეზიის ანთოლოგია

ქართული პოეზიის თარგმნას გერმანულ ენაზე დიდი ხნის ისტორია აქვს. გერმანული წყაროებით დასტურდება, რომ ქართული კულტურა, ლიტერატურა გერმანული მოაზროვნებისთვის, მწერლების და მოგზაურებისთვის ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან იყო საინტერესო. ქართული ნიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით, გამომცემლობა POP Verlag გერმანულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც ამ დიდი ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. გერმანულენოვან გამოცემაში გაერთიანებულია ყველა ეპოქის 80-ზე მეტი ქართველი ავტორის პოეტური ნაწარმოები. ნიგნში შესულია ახალი, დღემდე გამოუქვეყნებელი თარგმანები. კრებული — ქართული პოეზიის ანთოლოგია — ნიხო პოპიაშვილმა და გერტ რობერტ გრიუნერტმა შეადგინეს. გერმანულენოვან თარგმანზე მუშაობდნენ გერტ რობერტ გრიუნერტი, შტეფი ხოტივარი-იუნგერი, ნაირა გელაშვილი, მაია ლისოვსკი, ნიხო პოპიაშვილი, შორენა შამანაძე და თამარა ზიგერი. ნიგნს თან ახლავს აუდიო დისკი, სადაც ჩანერილია 37 ქართველი პოეტის, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძისა და ირაკლი ჩარკვიანის ლექსები ავტორების შესრულებით.



ნიხო პოპიაშვილის ინფორმაციით, ქართული პოეტების ლექსების თარგმნისა და ანთოლოგიის გამოცემის იდეა ეკუთვნის თანამედროვე გერმანულ პოეტს გერტ რობერტ გრიუნერტს, რომელსაც დიდი ხანია სურდა ანთოლოგიის გამოცემა, თუმცა მრავალი მიზეზის გამო ეს ვერ ხერხდებოდა. „თარგმანებზე იყო ნელია ვმუშაობდით. ეს იყო რთული და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით შესასრულებელი სამუშაო. ჩვენ გვიწოდებდა ყველაფერი გადაგვეტანა: ფორმაც, შინაარსიც, რითმაც. მოგეხსენებათ, ქართული რითმა მრავალფეროვანია. რთული იყო ძველ ტექსტებზე მუშაობა. იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართლისა ენისაი“ ერთ-ერთი რთული ლექსია ამ მხრივ. ყველაზე საპასუხისმგებლო, ბუნებრივია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავების თარგმნა იყო, რომლებიც ანთოლოგიაში შევიდა. ეს არის „პროლოგი“ და „ავთანდილის ანდერძი“. პოემის სული, პოემის გონი... ჩვენ საგანგებოდ ვუდარბოდით არსებულ თარგმანებს ორიგინალს და ახალი თარგმანიც ასეთ ჭიდილში იზადებოდა. ვლებულობდი კონსულტაციებს რუს-

თველოლოგებისგანაც. ძალიან მემამყება, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა XXI საუკუნეშიც არ კარგავს მნიშვნელობას. ყველა სტრიქონი განსაკუთრებულად დამაფიქრებელი და აზრით დატვირთულია“, — აღნიშნა ნიხო პოპიაშვილმა. მისი ინფორმაციით, „ანთოლოგიაში თერთმეტსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შედევრები, სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და მიმართულების ტექსტებია წარმოდგენილი. ლექსების დიდი ნაწილი ტანდემში ითარგმნა, რაც მუდმივ დიალოგს გულისხმობს. ამ მხრივ ძალიან საინტერესო იყო ნაირა გელაშვილისა და გერტ გრიუნერტის ტანდემი. როგორც მოგეხსენებათ, ქალბატონი ნაირა ბრწყინვალე გერმანისტია. მათ ერთად თარგმნეს ქალბატონი ნაირას ლექსები. მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ბესიკ ხარანაულის ლექსებზე მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსების შინაარსი ჩემთვის გასაგები იყო და გერმანულადაც გადატანა არ იყო რთული, მაინც ვაზუსტებდით — რა ემოცია, რა აზრი უნდა გვექებნა ამა თუ იმ პოეტურ სახეში. დაუვიწყარი იყო ჩემთვის ახალგაზრდა ავტორების ლექსებზე მუშაობა. ანთოლოგიის ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ მას ერთვის აკადემიური აპარატი: ავტორთა ბიოგრაფიები, ასევე, სქოლიოები, სადაც ლექსებში ნახსენებია გეოგრაფიული და საკუთარი სახელები და ისტორიული ფაქტები განმარტებული. ქართული საზოგადოებისათვის ძალიან ცნობილი ისტორიუ-

ლი პირები გერმანულენოვანი მკითხველისთვის სრულიად უცნობია, ამიტომაც განმარტება აუცილებელი იყო. სქოლიოებზე და შენიშვნებზე მუშაობამ დაგვანახა, თურამდენად განსაზღვრავს ლექსს მსგავსი ატრიბუტიკა“. ნიხო პოპიაშვილის ინფორმაციით, ნიგნი 580 გვერდისაგან შედგება. „ეს არის დღემდე ყველაზე დიდი ქართული პოეზიის ანთოლოგია. მაგრამ, ბუნებრივია, ის მაინც არ არის სრულყოფილი. ქრონოლოგიურად ჩვენი ანთოლოგია იწყება ხალხური შემოქმედებიდან: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ (ითარგმნა პირველად) და სხვ. მასში შესულია იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართლისა ენისაი“ (ითარგმნა პირველად), ჩახრუხადის „თამარიანის“ ორი ოდა (ითარგმნა პირველად), შოთა რუსთაველის ორი თავი (უახლესი, გამოუქვეყნებელი თარგმანი), დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, რომანტიკოსები, ილია, აკაკი, ვაჟა... 80-ზე მეტი ავტორია. განსაკუთრებით ფასეულია ჩვენთვის, რომ კრებულში 40-მდე თანამედროვე ავტორია. ნიგნს ერთვის აუდიოდისკი, სადაც 37 ავტორის მიერ წაკითხული თითო ლექსია ჩანერილი. ანთოლოგია იმ მხრივაც არის უნიკალური, რომ დღემდე არცერთ ანთოლოგიას აუდიოვერსია არ აქვს. ასევე განსაკუთრებულია ისიც, რომ ავტორები თვითონ კითხულობენ თავიანთ ლექსებს. დამეთანხმებით, პოეტის

მიერ წაკითხულ ლექსს განსაკუთრებული ესთეტიკა ახლავს. ანთოლოგიაში სამი ლექსი ქართულადაც არის დაბეჭდილი, იქვეა ლექსების ტრანსკრიფცია ლათინური ასოებით, გერმანულენოვანი მკითხველისთვის. ვფიქრობთ, ქართული შრიფტის გრაფიკა, ასევე, ქართული სიტყვების ტრანსკრიფცია საინტერესო ექსპერიმენტს იქნება მკითხველისთვის. ანთოლოგია ითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებს: ანთოლოგიას უძღვის ჩემი და გერტ გრიუნერტის წინასიტყვაობები, ერთვის აუდიოდისკი, სქოლიოები, ავტორთა და მთარგმნელთა ბიოგრაფიები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ანთოლოგია თვისობრივად ევროპული, დასავლური ნიგნია. ანთოლოგიის სათაურად გამოტანილი გვაქვს სახელგანთქმული გერმანული ლირიკოსის, ფრიდრიხ შოლდერლინის სიტყვები: „მინდა, გავწიო კავკასიისკენ“. 2016 წლის თებერვალში გაიმართა „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ პრეზენტაცია ლაიპციგის ნიგნის ბაზრობაზე. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიგნის ბაზრობა გერმანიის მასშტაბით. ასევე, ვფიქრობთ, ნიგნი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე, განსაკუთრებით კი 2018 წელს, როდესაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იქნება წარდგენილი“, — განაცხადა ნიხო პოპიაშვილმა.

შურთსია ბაროშვილი




სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140-ე წლის საიუბილეოდ ფოტოალბომის „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში მოეწყო, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე და საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ფოტოალბომი საქართველოს პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით გამოიცა.

„დღეს ჩვენ ვზეიმობთ დიდი ადამიანის 140 წლის იუბილეს, რომელზეც საქართველოს წარსული და მომავალი დგას. 25 წლის წინ ჩვენმა თაობამ შეძლო და გახდა დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირისგან. ახლა მნიშვნელოვანია, რომ შევქმნათ ისეთი თავისუფალი სახელმწიფო, რომლის შემოქმედი ივანე ჯავახიშვილი იყო. მინდა, მოგილოცოთ ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილეს და გისურვოთ ყველას კარგი განათლება, პრინციპულობა და სიძლიერე თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

ფოტოალბომის „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“ ავტორი თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი გახლავთ. მასში 300-ზე მეტი ფოტოა დაბეჭდილი, მათ შორის სურათები, რომლებიც თავად ივანე ჯავახიშვილის მიერ გახლდათ გადაღებული. ფოტოალბომის გამოცემის იდეა ავტორს ჯერ კიდევ წლების წინ, ივანე ჯავახიშვილის შთამომავალმა დალი გერსამიამ შთააგონა.

„წელს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ აკადემიური საბჭოსა და სენატის თანხმობით 2016 წელი ივანე ჯავახიშვილის წლად გამოაცხადა. დღეს ამ ალბომის პრეზენტაციით ვინყებით ღონისძიებათა ციკლს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მიძღვრება. ალბომში თავი მოუყარეთ 300-ზე მეტი ფოტოს. მკითხველს თვალწინ გადაეშლება იმდროინდელი



ნეს მიერ გადაღებული ფოტოებიც, რომლებიც ნეგატივების სახით ინახებოდა არქივებში, ხელნაწერთა ცენტრში, ივანე ჯავახიშვილის შთამომავლების ოჯახებში“, — განაცხადა ფოტოალბომის პრეზენტაციაზე ზურაბ გაიპარაშვილმა.

„ეს ალბომი ნაკრებია იმ ფოტოსურათებისა, რომელიც ჩვენს ოჯახში ინახებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ხარისხიანი გამოცემა, რისთვისაც მადლობა უნივერსიტეტს და საქართველოს პრეზიდენტის ფონდს, რომლის დაფინანსებითაც ეს ყველაფერი გაკეთდა“, — აღნიშნა ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილმა თარსუჯ ჯავახიშვილმა.

ალბომის გამოცემის მიზანი იყო ფოტოდოკუმენტებით მკითხველს უშაღლესი განათლებისა და მეცნიერების აღორძინება-განვითარება. ალბომში, გარდა ოჯახის წევრებისა და ნათესავებისა, წარმოდგენილია იმ ადამიანების პორტრეტები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამა თუ იმ პერიოდში იყვნენ მისი თანამოაზრე თუ კოლეგა-მეგობრები. განსაკუთრებით საინტერესოა თავად ივანე ჯავახიშვილის სკოლის ბიბლიოთეკის მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის პირველად ქვეყნდება.

„ეს წელი მართლაც დიდებული წელია — ივანე ჯავახიშვილის სახელობის წელი. მადლობა ბატონო პრეზიდენტო დახმარებისთვის, მადლობა იმ თანადგომისთვის, რომელსაც მუდმივად უცხადებთ ჩვენს უნივერსიტეტს. ამას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი თქვენი ყურადღება არ მოგვეკლებია.“

ჩვენს ქვეყანაში რაც უნდა შეიცვალოს, უცვლელი დარჩება რამდენიმე რამ, რაც არის ქვეყნისთვის ისტორიული მნიშვნელობის, ზნეობრივად ფასეული და ასეთი, რა თქმა უნდა, არის ჩვენი უნივერსიტეტი, რომელიც დიდი ივანეს დაარსებულია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სულ მალე შეუსრულდება 100 წელი, ეს მნიშვნელოვანი თარიღია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შესრულდება 100 წელი საქართველოს რესპუბლიკის დაარსებიდან. ივანე ჯავახიშვილი იყო უნივერსიტეტის ფუძემდებელი და აქტიური მონაწილე იმ პროცესებისა, რომელიც დაკავშირებული გახლდათ ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასთან. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვნად აღნიშნავს ამ თარიღს“, — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

ღონისძიების ფარგლებში ვლადიმერ პაპავამ ხოვლეს საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას თსუ-ის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები გადასცა საჩუქრად.

ნატო ოპოლაქა

ეპოქა და შეექმნება შთაბეჭდილება იმ ადამიანების შესახებ, რომლებთან ერთადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილი. აქვე დაბეჭდილია თავად ივა-

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის მმართველი:	მისამართი:
მთავარი სამცხისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუსაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
ფოტოკორექციონერი	ანა ბოლქვაძე		tsunewsaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62

